პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ხ. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. და წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76 მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველი პრ. № 26, ტელეფონი 5-43.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში — 6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის — 6.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 216 ხუთშაბათი 20 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250.000 მან. № 216

დ ღ ი უ რ ი

— იაპონიაზე გადაიარა ქარიშხალმა (ტაიფუნი), რომელმაც წალეკა მიდამოები და წყლით დაი[illegible] დაზარალა წყალდიდობამ.

— ესპანეთის მეფემ ხელი მოაწერა [illegible] ნის დეკრეტს. მთელ ესპანეთში საალყო წესებია გამოცხადებული

— გერმანიის მარკა კატასტროფიულად დაეცა

— ინგლისში იზრდება საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის დაწყებული მოძრაობა.

— შვეცია თანახმაა იცნოს საბჭოთა კავშირი.

დღეს სრულდება 5 წელი ინგლისელ თეთრგვარდიელების და მათი დაქირავებულ აგენტების მენშევიკებისა და ესერების მიერ ბაქოს 26 კომუნარის: ამხ. სტ. შაუმიანის, ალ. ჯაფარიძის, გრ. კორგანოვის, პეტროვის, არ. ამირიანისა, ვ. ფიოლეტოვის, მ. აზიზბეკოვის, ი. ზევინის, ვეზიროვის, ს. ოსიპიანცის, ვ. მალიგინის, მასინის, ავაკიანის, სოლნცევის, კონსტანდიანის, ა. ბორიანის, ნიკოლაიშვილის, მეტაკსის, ა. ბოგდანოვის, ს. ბოგდანოვის, ჰავლურინის, ბერგის, მ. კოანოვის, გაბაშევის, ტ. ამირიანის, და მიშნეს

ვერაგულათ დახოცვის დღიდან.

ცეცხლის ასოებით ამოკვეთილი დარჩება ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის გულში ხსოვნა მის დაღუპულ ბელადებზე.

საუკუნო ხსენება მებრძოლებს, რომლებიც გმირულათ დაეცენ პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში.

20 სექტემბერს
ბაქოს 26 კომუნარის
დაღუპვის 5 წლის თავზე
გაიმართება
მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს

საზეიმო სხდომა

სხდომაზე მოწვეულნი არიან ყველა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, ადგილკომები, კავშირთა გამგეობის წევრები და არმიის წარმომადგენლები.

სხდომა გაიმართება სახელმწიფო ოპერის თეატრში, საღამოს 6 საათ.

ალმასკომის პრეზიდიუმი
საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი.
საქართ. პროფკავშირთა საბჭო.

მათ ხსოვნას

1918 წლის 20 სექტემბერი მწარედ მოსაგონარი და ტრაგიკული მომენტია მუშათა კლასის გმირული ბრძოლის ისტორიაში.

პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის მატიანეს უამრავი მსხვერპლი ახსოვს. შრომის განთავისუფლებისაკენ მიმავალი გზა დაფარულია მუშათა კლასის საუკეთესო შვილების ძვლებით, მორწყულია მათი უმანკო სისხლით.

მაგრამ განსაკუთრებულია და უმაგალითო ის სისხლიანი ტრაგედია, რომელიც დატრიალდა ამ ხუთი წლის წინედ. ამ დღეს კასპიის გაღმა, შორეულ უდაბნოში იმპერიალიზმის აგენტების ჯალათური ხელით მხეცურად დახვრეტილ იქნენ და ქვიშაში ჩაფლულნი მშრომელთათვის თავდადებული დაუვიწყარი რევოლიუციონერები, ბაქოს 26 კომუნარი.

ფრიად მძიმე იყო ბაქოს პროლეტარიატის მდგომარეობა 1918 წლის სექტემბერში.

ბაქოს მუშათა კლასი, რომელმაც პირველმა და ერთადერთმა აღმართა მაშინ საბჭოთა ხელისუფლების დროშა ამიერ-კავკასიაში, გარშემორტყმული იყო უთვალავი გარეშე და შინაური მტრებით. საბჭოთა ბაქოზე იერიშით მიდიოდნენ ოსმალეთის ურდოები. შიგნით მენშევიკები, ესერები, დაშნაკელები და რევოლიუციის სხვა მოღალატენი ვერ ინელებდნენ ბოლშევიკების ჰეგემონიას და საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველი საშუალებით ცდილობდნენ მის დამხობას.

უსწორო იყო ბაქოს რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბრძოლა შემომტევ ოსმალეთის ბრბოებთან. შინ მდგომარეობა უკიდურესად გართულებული იყო როგორც სოციალ-გამყიდველების ღალატით, ისე უსურსათობით, სიძილობით.

ბაქოს მუშათა კლასი, მუდამ მხნე და მებრძოლი, ასეთ პირობებში შედრკა, უიმედობამ მოიცვა ის. სოციალ-გამცემლებმა ისარგებლეს მისი ასეთი დროებითი სულიერი განწყობილებით და გამოიყენეს ის საბჭოთა ხელისუფლების მოსასპობად. ბაქოს საბჭოს უმრავლესობა წამოეგო მათ ანკესზე, გაყვა მათ წინადადებას — მოეწვიათ ინგლისელები ოსმალეთის ურდოებისაგან თავის გადასარჩენად. მათი სიტყვით ინგლისელებს ბაქოსათვის უნდა გაეწიათ მხოლოდ სამხედრო-ტეხნიკური დახმარება ოსმალეთთან ბრძოლაში. მაგრამ ნამდვილად ცხადი იყო, რომ ინგლისის იმპერიალიზმს ბაქოს დაკავებით უნდოდა დამკვიდრება ამიერ-კავკასიაში, კავკასიის ფრონტის კვლავ აღდგენა გერმანია-ოსმალეთის კოალიციის წინააღმდეგ, თეთრგვარდიელ ურდოებისათვის დახმარების აღმოჩენა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, ბაქოს ნავთის დაუფლება და მით რევოლიუციონურ რუსეთისათვის სასიცოცხლო არტერიის მოსპობა. ყველაფერი ეს ნათელი იყო ინგლისის ჯარების მომწვევ პარტიებისათვის. მაგრამ მათი მიზანი სწორედ ის იყო, რომ დაემხოთ საბჭოთა ძალაუფლება და ამისათვის ისინი ეშმაკსაც დაუმეგობრდებოდნენ.

ეს კარგად ესმოდათ ბოლშევიკებს და ისინი ცდილობდნენ ბაქოს, როგორც პროლეტარული რევოლიუციის უდიდესი სტრატეგიული და სამრეწველო ცენტრის, დაცვას ყველა იმპერიალისტური ძალებისაგან.

მათმა ცდამ არ გასჭრა. მათ ვერ მოახერხეს მუშათა დაცემული სულიერი განწყობილების დაძლევა და რევოლიუციონური ბრძოლისათვის ახალი ენერგიის და წყურვილის ჩაბერვა.

ბაქოს საბჭომ ხმის უმრავლესობით მიიღო სოციალ-გამცემლების წინადადება ინგლისელების მოწვევის შესახებ. ამით გადაწყდა ბაქოს კომუნის ბედი. სახალხო კომისართა საბჭო გადადგა. ბაქოს კომუნარებს უნდოდათ იქედან წასვლა, მაგრამ დაკავებულ იქნენ, შემდეგ კი კრასნოვოდსკში გადაყვანილნი.

ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაურმა ასხაბადში ს.-რ. ჯუნკანთან ერთად მიაღწიეს იმას, რომ ამიერ-კასპიის აღმასრ. კომიტეტმა, რომელიც შესდგებოდა სოციალ-შემთანხმებლებისაგან, გასცა კომუნარები ვითომდა ინდოეთში წასაყვანად, ნამდვილად კი მათი დასახვრეტად გზაზე.

1918 წლის 20 სექტემბერს ჯოჯოხეთური გეგმა მოყვანილ იქნა სისრულეში. გზაზე ეს ამხანაგები ჯალათებმა გამოიყვანეს მატარებლიდან და დახვრიტეს.

ამგვარად იძიეს შური ინგლისის იმპერიალიზმის აგენტებმა და სოციალ-მოღალატეებმა რევოლიუციის გმირებზე.

მაგრამ ის დიადი საქმე, რომელსაც შეეწირენ ეს მუდამ მოსაგონარი ამხანაგები, ამით არ მოსპობილა. მათ მიერ დაღვრილ სისხლს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. პროლეტარიატმა გაიმარჯვა და საბჭოთა ხელისუფლების დროშა დღეს ფრიალებს მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. გაერთიანება ამიერ-კავკასიის და მთელი რუსეთის მშრომელებისა, რომლისაკენ მუდამ მოუწოდებდნენ დაღუპული მებრძოლები, დღეს ფაქტია.

მუშათა კლასმა შური იძია იმ მოღალატეებზე, რომელთა ხელი გასვრილი იყო ბაქოს კომუნარების სისხლში, და ისინი აღგავა ცხოვრების სარბიელიდან.

მაგრამ სამაგიერო მუშათა კლასის მტრებისათვის ჯერ ბოლომდე არ არის გადახდილი. ჯერ კიდევ ცოცხლობს ინგლისის და სხვა იმპერიალიზმი, ჯერ კიდევ არ დაუყრია ფარ-ხმალი მსოფლიო ბურჟუაზიას.

ბაქოს კომუნარების ლანდი მუშათა კლასს ისევ იწვევს შურისძიებისაკენ. შეუბრალებელი ბრძოლა მსოფლიო ბურჟუაზიის გასანადგურებლად და მთელ დედამიწაზე საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად — აი, ის ანდერძი, რომელიც გადმოგვცეს ბაქოს კომუნარებმა. მუშათა კლასი უახლოვდება ამ ანდერძის განხორციელებას.



26 კომუნარის ხსოვნას

5 წლის წინათ, დილით ადრე შორეულ კასპიის იქითა მხარეს უდაბნოში მხეცურად დახოცეს ბაქოს 26 კომუნარი. 5 წლის თავზე რუსეთის პროლეტარიატმა წარსულ წელს იდღესასწაულა თავისი გამარჯვების, თავისი მიღწევების ზეიმი. ამ დიდ ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებდა ბევრი სისხლი დაიღვარა, ამ ბრძოლამ მრავალი მსხვერპლი შეიწირა, ათასობით საუკეთესო მებრძოლი დაიღუპა, ძვირად დაუჯდა მუშათა კლასს გამარჯვება. შეუძლებელია ყველა იმათი სახელის ჩამოთვლა, რომლებმაც სისხლით აღბეჭდეს უდიდესი ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ კომუნიზმისათვის ღირს ბრძოლა და სიკვდილი. და მათ, ამ 26 მა დაამტკიცეს ამისათვის მზადყოფნა, ეს ცოდნა ბოლომდი ბრძოლისა.

რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე მათ დაიჭირეს ყველაზე პასუხსაგები, ყველაზე უფრო საშიში ადგილები და ჭეშმარიტი კომუნარების გამბედაობით, პირდაპირ შეიჭრნენ ბრძოლაში. ამიერ-კავკასიაში, სადაც სოციალური, ნაციონალური და საერთაშორისო ურთიერთობათა კვანძი ყველაზე უფრო დახლართული იყო და ამიტომ ბრძოლას განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ჰქონდა, სადაც გაღვივებულმა შურისა და მტრობის გრძნობამ ბაქოს ჟლეტა გამოიწვია ამ გააფთრებული სტიქიონის პირობებში ეს 26 კომუნარი შეუდრეკელად მიდიოდნენ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების მიზნისაკენ და სახავდნენ იმ გზებს, რომელითაც ახლა მიდიან ამიერ-კავკასიის ერები. იმ დროს, როცა ამიერ-კავკასიაში მძვინვარებდა ნაციონალური ბრძოლა, მათ წამოაყენეს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის, საბჭოთა ფედერაციის გაერთიანების ლოზუნგი.

იმ დროს, როცა ბაქოს პროლეტარიატი სისხლიდან იცლებოდა შეტევაზე გადმოსულ ოსმალო ბეგების ბანდებთან უსწორო ბრძოლაში და დაქანცულმა დაკარგა თავისი ძალების იმედი, შედრკა და თავი მოატყუება ინგლისის სარდლობის დახმარებაზე თანხმობის მიცემით, სახალხო კომისრები, შაუმიანის და ჯაფარიძის მეთაურობით, გადადგნენ. მათ ვერ შეძლეს მუშების დაცემული სულიერი განწყობილების დაძლევა, ახალი ძალების შთაბერვა. „პროლეტარიატი არ შეიძლება რომ დაიღუპოს, ის კვლავ მოიკრებს ძალებს და გაიმარჯვებს“ — ასეთი იყო ამხ. ჯაფარიძის უკანასკნელი სიტყვები გადადგომის წინ. პროლეტარიატი არ დაიღუპა. ის წავიდა ერთად ერთი სწორი გზით, იმ გზით, რომელიც ნაკარნახევი იყო რევოლიუციის მთელი მსვლელობით, იმ გზით, რომელსაც უჩვენებდნენ მას ბელადები, ის დადგა ამ გზაზე და გაიმარჯვა, მაგრამ ძვირად დაუჯდა მას თავისი დროებითი შეცდომა. მან დაკარგა თავისი საუკეთესო ბელადები. და ამ თავგანწირული ბელადების დაღუპვის 5 წლის თავზე, ისე როგორც წინა წლებში, ტკივილს და სინწუხრეს გრძნობს მუშების გული. ისინი არ არიან უკვე ჩვენს რიგებში. არ არიან ისინი — ბრძენნი, გაბედულნი. ისინი დაიღუპნენ შორეულ უდაბნოში შორს ბრძოლის ხმაურიდან. ისინი, ეს არწივები, რომლებიც ბრძოლისკენ მისწრაფოდნენ, მხეცურად დახოცეს მათ თავები მოსჭრეს) და უდაბნოს სილაში ჩაჰყარეს, ვინ გაიგონა მათი უკანასკნელი ხმა, ვის შეეძლო დაენახა თუ საით იცქირებოდნენ ისინი უკანასკნელად. მთელი მათი ცხოვრება წარმოადგენს ბრძოლას კომუნიზმის ზეიმისათვის, მუშათა კლასის გამარჯვებისათვის. ათეული წლების განმავლობაში ისინი აწარმოებდნენ ბრძოლას თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში, ისვენებდნენ და ძალებს იკრებდნენ მხოლოდ ციხეში და იქიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ იწყებდნენ ბრძოლას.

და მაშინ, როცა „ნაპერწკალი ალად იქცა“, როცა რევოლიუციის ცეცხლი მოედვა მთელ მსოფლიოს, როცა ყველაზე უუფლებო კლასებს შორის ცხოვრების ბატონად, მის შემოქმედად და ბელადად გადაიქცა, ამ დროს მათ, ძალით გატაცებულთ და მოტყუებით წაყვანილთ, ხოცავს მტერი, რომელიც ერთ მუჭა ბორკილ დადებულ თავისუფლება წართმეულ ხალხშიც ხედავს თავის არსებობისათვის საშიშ ძალას.

წყევა-კრულვა ჯალათებს, საუკუნო ხსენება მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის დაღუპულ ამხანაგებს.

დეე, საუკუნოთ დარჩეს ხსოვნაში მათი სახელი, ვინც ცხოვრობდა, იბრძოდა და დაიღუპა კომუნიზმისათვის.

ს. ქ. პ. ტფილისის კომიტეტი.

26-ის ძეგლი

დღეს ბაქოს პროლეტარიატი ძეგლს უგებს მათ, ვინც თავისი სიცოცხლით, ბრძოლით და სიკვდილით დიადი პროლეტარულ რევოლიუციისადმი ერთგულების მაგალითი გამოიჩინა.

[illegible] ხუთი წლის წინეთ იმავე ბაქოს პროლეტარიატი, შეყოყმანდა, რაოდნავ და დანებდა მათ, ვინც მუდამ მერყეობს, საბედისწერო ისტორიული შეცდომა ჩაიდინა: მან ერთი წუთით ზურგი შეუბრუნა რევოლიუციას და ერთი წუთით ინგლისელი იმპერიალისტები მოიწვია.

მაგრამ ეს საბედისწერო შეცდომა და მის მიერ გამოწვეული უდიდესი დამარცხება კასპიის შორეულ და მზით გადამწვარ ველებში, ჭეშმარიტათ ჩვენი განუწყვეტელ ზრდის და მუდმივ გამარჯვებათა წყაროთ იქცა.

მართლაც: რა იყო მაშინ და რა არის დღეს.

ხუთი წლის წინეთ .. მთელი ამიერ-კავკასია საბჭოთა რუსეთისაგან მოწყვეტილი და ყოველმხრივ მტრით გარშემორტყმული იყო. დასავლეთიდან მოდიოდნენ გერმანელები, რომლებმაც დაიკავეს მთელი რიგი ქალაქებისა. აღმოსავლეთში დაქირავებული ჩეხოსლოვაკელი და კოლჩაკის ბანდები. დონზე, ურალზე კალედინ-დუტოვების ეპოქა, მთელი სამხრეთი, — ოდესიდან როსტოვამდე, — თეთრგვარდიელთა და უკრაინის რადის მიერ საგანგებოთ მოწვეულ გერმანელთა ხელში იყო.

თვით ამიერ-კავკასია დაქსაქსული იყო სამ „დემოკრატიულ“ ნაწილათ: საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი. მათ „მართავდა“ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები, იმავე დროს ამიერ-კავკასია იყო ორ იმპერიალისტურ კოალიციის ბრძოლის ასპარეზი: ოსმალეთ-გერმანიის (საქართველო) და ინგლისისა (სომხეთი და აზერბეიჯანი).

ერთი წუთითაც არ წყდებოდა ერთა შორის ბრძოლა, რომელიც ომებათ იქცეოდა სამ „დიდ“ სახელმწიფოთა შორის.

დღეს კი..

ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიის მთელი სივრცე გაწმენდილია თეთრგვარდიელ სიბინძურისაგან; არსად არ ჩანს არც გარეშე „მრავალფეროვანი“ ძალები, არც შინაური კონტრ-რევოლიუცია. ამიერ-კავკასიის ერები ჩაბმული არიან ამიერ-კავკ. სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მეგობრულ ოჯახში, რომელიც კვლავ დაკავშირებულია საბჭოთა რუსეთთან. სად არის თუნდაც ჩრდილი ურთიერთ უნდობლობისა, თუნდაც ატომი გაუგებრობისა. ნაციონალისტურ კოშმარის მაგიერ, კაცთმოძულეობისა და მტრობის მაგიერ, ნაციონალური მშვიდობიანობა. მეფობს აჟამად ამიერ-კავკასიაში. მხეცური შოვინიზმი ჭეშმარიტ ინტერნაციონალიზმათ შეიცვალა. ეს კი თავი და ბოლოა, უმთავრესია ამიერ-კავკასიისათვის ისე, როგორც წმინდა ჰაერი — ადამიანისათვის. ამის გარეშე ამიერ-კავკასიას არ შეუძლია არსებობა, განვითარება, წინსვლა.

და თუ სოლიდარობის ეს დროშა ამაყათ დაჰფრიალებს თავს ამიერ-კავკასიას — ეს საუკეთესო ძეგლია 26-სათვის.

მაგრამ არის კიდევ ერთი დაუფასებელი მიღწევა, რომლის ხსენება აქ საჭიროა. ეს არის ამიერ-კავკასიის ანტი-საბჭოთა პარტიების საბოლოო დაშლა, სრული გახრწნა. შეიძლება თამამათ ითქვას, რომ აჟამათ აქ არ არსებობს არც ერთი ოდნავ თვალსაჩინო ჯგუფი, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა და კომპარტიის წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ ხუთი წლის წინეთ ხომ მთელი მოსახლეობისა და სამწუხაროთ აგრეთვე მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლეთ აქ ითვლებოდნენ სწორეთ ის საზიზღარი მოღალატეები, — ყველა ეს მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები, რომლებიც ეხლა აღარ სუფევენ.

რა დაემართა მათ?

მტკიცეთ ფეხმოკიდებული საქართველოში და სამაგალითოდ აყვავებული მენშევიზმი სამაგალითოდვე გაიხრწნა. 12 ათასმა მუშამ და გლეხმა, რომლებმაც შექმნეს ეს პარტია და რომლებმაც ამ პარტიაში ათეული წლები გაატარეს, თავისი ხელით მოჰკლეს იგი და ამის შესახებ აუწყეს ყველა ყვითლებს და ნოე ჟორდანიას. მენშევიზმი საქართველოში, როგორც საერთაშორისო ბურჟუაზიის აგენტურა, როგორც იდეოლოგია, როგორც მომქმედი პარტია, უკვე არ არსებობს. უპარტიოთ დარჩენილი მისი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ორი და ნახევარი კაცისგან თუ შესდგება მხოლოდ (უთუოდ 2 ნახ. ინტერნაციონალის სისტემის მსგავსათ), გართულია ეხლა მით, რომ ითვლის რამდენიღა კაცი შერჩა მას ამ სკანდალის შემდეგ.

მენშევიკებს დაშნაკებიც მოყვენ (დროს დეკლარაცია), შემდეგ კიდევ მუსავატელები. ვფიქრობთ, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებში რაიმე (და ძალიან დიდისაც) გავლენის მქონე ამ პარტიების თვითლიკვიდაცია ფრიად მწყობრად მიმდინარეობს. ეს ლიკვიდაცია მტრულ ძალებისა საუკეთესო ძეგლია 26-სათვის, იგი საუკეთესო ისტორიული გამართლებაა იმ ეკლიან გზის, რომელზედაც მსვლელობდენ ისინი. აღსრულდა ამხ. სტ. შაუმიანის წინასწარმეტყველება, რომელიც მიმართული იყო „უნამუსო ცილისმწამებელთადმი“ (მენშევიკების, ესერების, დაშნაკებისა და მუსავატელებისადმი):

„დიაღ, ბატონებო, მძიმე ისტორიულ წუთს, თქვენ შესძელით თავბრუ დაგეხვიათ მშრომელთა მასებისათვის, მაგრამ ამ მდგომარეობის შენარჩუნებას ცილისწამებითა და მოტყუილებითვე თქვენ დიდ ხანს ვერ შესძლებთ...და რაც უფრო ბოროტია თქვენი სიცრუე აწმყოში, მით უფრო მკაცრი იქნება თქვენს მიმართ მუშათა მსჯავრი მომავალში“.

დაღუპულ წინამძღოლთა ძველ დროშის ქვეშ ვიბრძოდით ჩვენ და ხუთი წლის განმავლობაში მრავალი რამ შევასრულეთ იმიდან, რაც მათ ჩვენ მიზნად დაგვისახეს.

დროშა ნამდვილ ინტერნაციონალიზმისა, დროშა ამიერ-კავკასიის მუშათა გამოფხიზლებისა — აი, 26-ის ძირითადი საქმე და აღთქმა.

დღეს ბაქოს, — და მასთან ერთად ამიერ კავკასიის, — პროლეტარიატი — თავის წინამძღოლებისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით აღსავსე, ხელთუქმნელ ძეგლს უგებს მათ.

სამარადისო დიდება დაღუპულთ!

სამარადისო კრულვა მათ მკვლელებს!

მიხა კახიანი.

26-ის ძეგლი—ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი

26-ის დაღუპვის 5 წლის თავზე მათი ძეგლი ჯერ არ იქნება მზათ. ჯერხნობით სწარმოებს ენერგიული და სასწრაფო მუშაობა აუდიტორიების, კაბინეტების, ლაბორატორიებისა და კომუნისტურ უნივერსიტეტის ორგანიზაციისათვის ყოველგვარ საჭირო დაწესებულებათა შენება და მორთვა.

გამალებული მუშაობა დუღს პარტიულ საბჭოთა ფაკულტეტზე მიღებისათვის. თათრები, ქართველები, სომხები, ახალგაზრდა გვარდია, პარტიული ახალგაზრდობა და კომკავშირი, ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობის ინტერნაციონალი, — ყველა ეს ძალები სჩქეფს, როგორც მთის წყალვარდნილი, სხვა და სხვა რთულ საქმეში: სამანდატო კომისიაში, რუსულ და ქართულ ენებში, მათემატიკაში, მე 2 ხარისხის საბჭოთა სკოლის პროგრამაში და, დაბოლოს კიდევ, სტრატეგიასა და ტაქტიკაში (ლენინის მეთოდით) გამოსაცდელათ.

ყველა ვერ მოხვდებიან სამოთხეში — პარტიულ საბჭოთა ფაკულტეტზე. ყოველ მოვლინებულისათვის პარტიულ სკოლაში შესვლის ეგებისობა 50 პროცენტზე მეტი არ არის.

მე-2 ხარისხის საბჭოთა-პარტიული სკოლის პროგრამა არა თუ ყველამ, არამედ მათ ნახევარმა და მეოთხედმაც არ „იცის“ თავიდან ბოლომდე. მაგრამ უნივერსიტეტი სრულიათაც არ აპირებს ორიენტაციის აღებას იმ მოზეპირეებზე, რომლებიც ამდენ და ამდენ ფურცელს „ჩაზუთხავენ“ „ბოგდანოვში“. ჩვენ „სკოლისტები“ კი არ გვინდა, არამედ მოწინავე მუშა გლეხები, გამობრძმედილი პარტიული მუშაკები, კომკავშირის აქტივისტები, პრაქტიკოსები, რომლებიც პარტიულ ფეხზე დადგენ და შევიდენ კომკავშირში 15-19-20 წლებში ამიერ-კავკასიის გასაბჭოებამდე, ან კიდევ გასაბჭოების პირველ დღეებში. ჩვენ, ერთი სიტყვით, გვჭირია ნიჭიერი ახალგაზრდობა; თუ გნებავთ, აკლდეს მათ ცოდნა „ბოგდანოვში“, სამაგიეროთ ეს ახალგაზრდობა გამობრძმედილი იქნება პარტიულ და კომკავშირის მუშაობაში, ეს იქნება გონიერი ამხანაგები — ცოდნა კი შემდეგაც შეიძინება, ცოდნას მათ უნივერსიტეტი მისცემს: კომუნისტურ უნივერსიტეტის 4 წლიწადი ბურჟუაზიულ უნივერსიტეტის 8—10 წელს შეედრება.

არის თუ არა ასეთი ახალგაზრდობა ამიერ-კავკასიაში?

არის! აქამდე ასეთი ახალგაზრდებისა სწავლობს ჩვენს საზოგადოებრივ პედაგოგიურ ფაკულტეტზე, (1923 წლის პარტის მიღება). ასეთივე ახალგაზრდები პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტისთვისაც მოიპოება. ნუ გავა თუ გნებავთ, ყველა 200 კაცი, რომელთაც სურთ ამ ფაკულტეტზე შესვლა. ამისათვის უთუოდ მომზადებული იქნება დაახლოვებით 160 კაცი დანარჩენ 100 კაციდან კი საუკეთესონი 1 წლიან მოსამზადებელ ფაკულტეტზე შევა. უმაღლეს პარტიულ სკოლის მიმართ დაცული უნდა იქნეს სასტიკათ ლენინის ტაქტიკის ერთი ძვირფასი წესი: სჯობს ცოტა, მაგრამ კარგათ. მიღების გამოცდები დასრულდება 1 ოქტომბერს, როდესაც უკვე მეცადინეობა იწყება. ამ დღისთვისვე მზათ იქნება აუდიტორიები, წიგნთსაცავი (30 ათასი ცალი წიგნით), სამკითხველო დარბაზი 120 კაცისათვის. ლაბორატორიები და კაბინეტები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ანატომია, ფიზიოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, ენები, მათემატიკა, ეკონომიკა და ტეხნიკა, ისტორია, ფილოსოფია და ტაქტიკა) — მთელი ეს რთული აპარატი უნივერსიტეტის სამეცნიერო და სამოსწავლო — დამხმარე დაწესებულებებისა გადაიშლება პირველ სემესტრის განმავლობაში, უმთავრესათ 7 ნოემბრისათვის და დამთავრებულ სახით კი — 1 იანვრისათვის.

საბუნებისმეტყველო კაბინეტებისა და ლაბორატორიების აპარატები და მოწყობილობა შესყიდულია, უმთავრესათ, საზღვარ-გარეთ, გერმანიაში. შეიძლება თამამათ ითქვას, რომ არც ერთ კომუნისტურ უნივერსიტეტს არ აქვს ისეთი სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებების ქსელი, როგორიც აქვს ამ.-კავ. კომ. უნივერსიტეტს. მართალია, შესაძლებელია შეგვეკითხონ: რა საჭიროა კომუნისტურ უნივერსიტეტში ყოველგვარი ფიზიკა, ქიმია, ზოოლოგია, ბოტანიკა და სხვა?

აი რატომ. უმაღლესმა პარტიულმა სკოლებმა უნდა მოამზადოს სწავლული მარქსისტები, მარქსისტებისთვის კი სავალდებულოა დიალექტიური მატერიალიზმი, ამ თვისებას კი ვერ შეითვისებს ის, რომელმაც არ იცის საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის საფუძვლები, ეს უკანასკნელი კი ჩინური ანბანია იმათთვის ვინც მათემატიკაში და ბუნებისმეტყველებაში უმეცარია.

კომუნისტურ უნივერსიტეტების შინაგან წინააღმდეგობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ დაბალ განათლებიანმა პირებმა მარქსისტული განათლება უნდა მიიღონ იმ რაოდენობით, რომელიც გაცილებით აღემატება იმას, რასაც იურიდიული, ეკონომიური და ეხლანდელი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტები იძლევა.

ყოველ მარქსისტისათვის ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი ათეულ წლების განმავლობაში ბეჯითად სწავლობდენ მათემატიკისა და ბუნების მეტყველების საკითხებს.

ამჟამათ კი საშუალო და, განსაკუთრებით, უმაღლეს პარტიულ სკოლებში მასიურ ზომით ანხორციელებენ მეცნიერულ კომუნიზმის შემოქმედთა გონებრივ განვითარების პროცესს.

ეს სრულიად მართებულია. ინდივიდი თავის განვითარებაში მოკლეთ იმეორებს თავისი გვარის ისტორიულ განვითარების ფაქტებს (ჰეკკელის ბიო გენეტიური კანონი)

დამთავრებული საშუალო ზოგადი განათლება, უმაღლესი მარქსისტული განათლება და სპეციალიზაცია პარტიულ და საბჭოთა მუშაობის, რომელიმე დარგში, — აი რა უნდა მოგვცეს კომუნისტურმა უნივერსიტეტმა.

ჩვენს უნივერსიტეტს კი, გარდა ამისა, ერთი სპეციფიური ამოცანა აქვს: მაღალ-კვალიფიციურ მუშაკის მომზადება ამიერ-კავკასიის სინამდვილისათვის. ამიტომ ჩვენი პროგრამები ზოგადათ და უმთავრესათ განმეორება იქნება ნორმალურ კომ. უნივერსიტეტის სამოსწავლო გეგმების, მაგრამ იმავე დროს ისინი მაქსიმალურათ გაჟღენთილი იქნებიან აღმოსავლურ და, განსაკუთრებით, კავკასიურ მასალით.

კომუნისტურ უნივერსიტეტის მუშაობის ერთ-ერთ საინტერესო მხარეს წარმოადგენს პედაგოგიურ მეთოდიკის ახალ ფორმების შემოქმედება. ყველა კომ. უნივერსიტეტები ემზადებიან ამჟამათ სალექციო მეცადინეობიდან წრეებში და სემინარებში პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლისათვის. ჩვენი უნივერსიტეტი ენერგიულ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით მწყობრ ლაბორატორულ გეგმის შემოღებისათვის (ამერიკულ სისტემის ტიპით: — „დოლტონის ლაბორატორული გეგმა“)

დილის და საღამოს, ოფიციალურ და დამოუკიდებელ მეცადინეობას სტუდენტი გაატარებს წრეებში, პროსემინარებში და სემინარებში, ლაბორატორიებსა და კაბინეტებში, სადაც მუშაობას პირველ ხანებში ექნება თუნდაც პრიმიტიული, მაგრამ, სამაგიეროთ, ცდისეული და არა მწიგნობრივ-სქოლასტიური ხასიათი.

დაბოლოს, რომელიმე სიტყვა ნაციონალ-პედაგოგიურ პრობლემის შესახებ. ამიერ კავკასიის ნაციონალური ენები არ არიან საკმაოთ განვითარებული, რომ მათზე დაგვეყენებინა უმაღლესი მარქსისტული სკოლა: არ არის საკმაოთ მტკიცე და საყოველთაო მიღებული მეცნიერული თერმინოლოგია, არ არის უმაღლეს სკოლის დამაკმაყოფილებელი ლიტერატურა. მაგრამ ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტი არ დაიწყებ ხელდაკრეფილ ცდას, სანამ ისტორია მას ხელში არ ჩაუდებს სუფთა და ახლათ შეკერილ აკადემიურ „მუნდირებში“ გამოწყობილ ყველა ადგილობრივ ენებს, რომლებიც უკვე მომწიფებული იქნება უმაღლეს სკოლის „ნამდვილ“ ენებათ, მაგალითად, რუსულ ენის დონემდე. ჯერ-ჯერობით რუსული ენა, ენა ლენინისა და ტროცკის, ოქტომბრის რევოლიუ-

26 კომუნარის დაღუპვის 5 წლის თავისათვის

აზ. კომპარტიის ცეკასი და ბაქოს კომიტეტის მოწოდება.

ბაქო. 18 სექტემბერი. გამოქვეყნებულია აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას და ბაქოს კომიტეტის შემდეგი მოწოდება: „20 სექტემბერს სრულდება 5 წელი კასპიის იქითა შორეულ მინდვრებში ინგლისელ ჯალათების და საერთაშორისო კაპიტალის მოსამსახურეთა — ესერების, მენშევიკების, დაშნაკების მიერ ბაქოს და ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის 26 წინამძღოლის — ამხ. შაუმიანის, ჯაფარიძის, აზიზბეკოვის, ფიოლეტოვის და სხვების დახვრეტის დღიდან. მათი დახვრეტის დღიდან შესრულებული 5 წელი ხვდება გერმანიაში მომხდარ უდიდეს ისტორიულ ამბების დასაწყისს. გერმანიის მეურნეობის და ხალხის კატასტროფიულმა მდგომარეობამ პირდაპირ დააყენა გერმანიის პროლეტარიატის და მისი კომუნისტური პარტიის წინაშე საკითხი ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ გერმანიის ხალხის დაღუპვისაგან გადასარჩენად.

გერმანიაში 2 ძალის — ფაშიზმის და პროლეტარიატის შეტაკება აუცილებელი შეიქნა სულ მოკლე დროის შემდეგ. გერმანიის პროლეტარიატის მომავალ მედგარ ბრძოლაში სამშობლოს ფაშიზმის და საგარეო მტრების წინააღმდეგ, საბჭოთა ფედერაციის მუშებმა და გლეხებმა შეიარაღებული ხელით უნდა გაუწიონ დახმარება გერმანიის პროლეტარიატს. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მუშებს და გლეხებს არ შეუძლიათ მოითმინონ გერმანიის პროლეტარიატის და გერმანიის რევოლიუციის განადგურება თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ შინაურ და გარეშე ფაშისტურ არმიების მიერ. ახლოვდება 26-წინამძღოლისათვის ანგარიშის გასწორების დღე, ბაქოს პროლეტარიატო იყავ მზად სამაგიერო გადაუხადო ევროპის ფაშიზმს შენი წინამძღოლების მოკვლისათვის. ჩვენ მზად ვართ — დახმარება გაუწიოთ გერმანიის პროლეტარიატს მის მომავალ შეიარაღებულ ბრძოლაში საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ“.

ციის ენა, დარჩება ჩვენი უნივერსიტეტის ოფიციალურ ენათ, — მაგრამ ამიერ-კავკასიის კომ უნივერსიტეტი უნდა გახდეს, და გახდება კიდეც, ამიერ-კავკასიის ეროვნულ კულტურების აღდგენის ფაქტორათ. აღებულია კურსი სამეცადინო ენის ინტერნაციონალიზაციაზე. მოსამზადებელ ფაკულტეტზე მეცადინეობა იწარმოებს ოთხ ეროვნულ ენის სექტორებში: თათრულ, ქართულ, სომხურ და რუსული; საზოგადოებრივ — პედაგოგიურსა და პარტიულ საბჭოთა ფაკულტეტებზე, ე. ი. თვით უმაღლეს სკოლაში ვიწრო მნიშვნელობით, მეცადინეობა იწარმოებს მშობლიურ და რუსულ ენებზე შესაფერ შეხამებით: სადაც შესაძლებელია რუსულათ, სადაც კი აუცილებელია — მშობლიურ ენაზე, რუსულ სამეცნიერო ლიტერატურის სიმდიდრის სავალდებულო სარგებლობით. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის გატარებამ არ უნდა დაუქვეითოს მეცადინეობის თვისობრივი დონე (ე. ი. გამოყენებულ უნდა იქნეს საბუნებისმეტყველო და მარქსისტული ლიტერატურა რუსულ ენაზე). ინტერნაციონალიზაცია არ შეიძლება შემოღებულ იქნას უნივერსიტეტის მე-2 ხარისხოვან საბჭოთა — პარტიულ სკოლათ. ან კიდევ, პოლიტიკურ წერა-კითხვის სკოლათ გარდაქცევის ფასათ. რესპუბლიკებში უკვე არსებობს დაბალი და საშუალო პარტიული სკოლები და უაზრობა იქნებოდა, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა — პარტიულ სკოლების ქსელში, რომელშიაც შედის მე-2 ხარისხის 3 საბჭოთა-პარტიული სკოლა (ტფილისში, ბაქოში და ერევანში) მოგვემწყვდია განსაკუთრებული ამიერ-კავკასიის მე-2 ხარისხის საბჭოთა — პარტიული სკოლა.

ამიერ-კავკასიის კომ. უ-ის ინტერნაციონალიზაცია უზრუნველგყოფს სტუდენტთა ჯანსაღ კადრით და დაიცავს უნივერსიტეტს უნიადაგო — ინტელიგენტურ, დეკლასიურ და დენაციონალურ (გარდაშენებულ), რესპუბლიკებთან და მშრომელ მასებთან მოწყვეტილ ელემენტებისაგან.

დასასრულ, უკანასკნელი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი შენიშვნა. უნივერსიტეტის სამოსწავლო გეგმაში უნდა შეტანილ იქნეს ლენინიზმის საფუძვლიანი კურსი.

უნივერსიტეტში 3—4 წლით ყოფნის დროს სტუდენტმა თავიდან ბოლომდე უნდა შეისწავლოს მთელი „ლენინი“, თუნდაც წინააღმდეგ — ქრონოლოგიურ წესრიგით — დაწყებული მე 14—19 ტომებით (1917—22 წ.) ჰაბუკობის ნააზრევამდე, ჩვენი პარტიის მომავალ ბელადისა და ლეგალურ მარქსისტებსა და ნაროდნიკების კამათამდე.

„ლენინზე“ ჩვენ ავღზრდით ნამდვილ პარტიულ ბოლშევიკებს, ე. ი. მარქსისტებს, რომლებმაც განვლეს მარქს ენგელსის სკოლა და ლენინისტების ხარისხს მიაღწიეს. ყოველმა პარტიულმა ამხანაგმა უნივერსიტეტში უნდა გაიაროს კომუნისტურ აზრის თუნდა შემოკლებული გზა კომუნისტურ მანიფესტიდან წერილებამდე კოოპერაციისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ.

ასეთია 26-ის სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი ტენდენციები: გარდაქცევა უმაღლეს პარტიულ სკოლათ, პროგრამების აღმოსავლური და კავკასიური მატერიალიზაცია, სამოსწავლო ენის ინტერნაციონალიზაცია, სამუშაო მეთოდების ამერიკანიზაცია (ლაბორატორიულ გეგმის შეტანა) — მარქსიზმის იდეიური დიქტატურა და ლენინიზმი, ლენინიზმი და კიდევ ლენინიზმი 1, 2, 3 და 4 კურსებზე — აი ის გზა, რომელზედაც ჩვენი პარტია იპოვის ყველა საშვალებებს ამ.-კავ კომ. უნ-ის „26“-ის სახელის ღირსეულ ძეგლათ გადასაქცევათ.

მისი შემოქმედის, ჩვენი პარტიის რკინის ხელებიდან იგი გამოვა, როგორც **ხელოვნების ნაწარმოები...** 26-ის ხუთი წლის თავზე ძეგლი არ არის მზათ; ჩვენ ვერ შევსძლებთ ამ დღისთვის უნივერსიტეტის საზეიმო გახსნას, მაგრამ ჩვენ დაუქანცავათ განვაგრძობთ ჩვენს შრომას და 20 სექტემბრის მწუხარე დღეს ამიერ კავკასიის კომ. უნივერსიტეტი მთელ პარტიასთან ერთად 26-ის საფლავზე დახრის გლოვის დროშებს.

ისინი, — მკვდარნი ცოცხალნი არიან ჩვენ გულში. ჩვენ განვაგრძობთ მათ საქმეს.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის ლოზუნგია — „გავხდეთ ისეთი როგორიც იყვნენ 26 ი“.

ხ. ნოვიკოვი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

მიწისძვრა იაპონიაში

ახალი უბედურება

ოსაკა. 18 სექტემბერი. ორი დღის განმავლობაში ჰქროდა ქარიშხალი (ტაიფუნი) და თავსხმა. ამას მოჰყვა წყალდიდობა, რომელმაც წალეკა მიდამოები ქ. ტოტორა, შივი, იამანაში და ტოკიო. მდ. კუკურამ, მარუფიანამ და ტოხემმა 20 ფუტით აიწია ქალაქი ტოტორი თითქმის მთლად წყალმა დაჰფარა. იაპონიისკენ მიმავალ რკინის გზების ხიდები წალეკილია. ტოკიოში მიწის ძვრის შემდეგ გადარჩენილი სახლები წყლითაა დაფარული. იაპონიის ყველაზე უდიდესი გვირაბი სასაგო დანგრეულია. 40,000 მდე ლტოლვილი გზაში დაბანდდა. ტოკიოსთვის გამზადებული ხეტყის მასალა წყალმა გაიტაცა, მარტო ტოტორის ოლქში ზარალი 30 მილიონ იენს უდრის. ინაბას პროვიანცია ჭაობად იქცა.

იაპონიის ექსპორტისა და იმპორტის დროებითი მარშრუტი.

ოსაკა. 18 სექტემბერი. იოკაგამის ნავთსადგურის დანგრევის გამო, იაპონიის ექსპორტი და იმპორტი ოსაკასა და კობეზე ივლის.

მღელვარება იაპონიაში. მუშების მანიფესტაციები.

ვლადივოსტოკი 17 სექტემბერი. 3 სექტემბერს მიწის ძვრის 3 დღეს კუნძულ ხონდო-ნიპპის ქალაქებსა და დაბებში გაიმართა მუშათა დიდი მანიფესტაციები შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს მთავრობა“, „ძირს კაპიტალისტები“. მანიფესტაციები პოლიციამ გარეკა. ამავე დროს ქალაქ ხამიდაუში კორეიის რევოლიუციონერები თავს დაესხენ გუბერნატორს. დაიწყო ჩხრეკა და დაპატიმრებანი.

დახვრეტა საპატიო მიზეზით.

ვლადივოსტოკი. 17 სექტემბერი. მიწის ძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში დახვრეტილია 200-ზე მეტი კორეიელი, რომელთაც დაარღვიეს აკრძალვა 7 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლის შესახებ. გაზეთებს აუკრძალეს ცნობების მოთავსება მღელვარებათა შესახებ.

კორეიელების ველურად დახჯა

პეკინი. 17 სექტემბერი. კობედან ჩამოსულ უცხოელების განცხადებით, იაპონელები ველურად ხჯიან კორეიელებს.

ს. ხელმწიფოს 4 მილიარდი ვალი.

პეკინი 17 სექტემბერი. გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად იაპონიის ვალი 4 მილიარდამდე ავიდა, აქედან 1 ნახ. მილიარდი უცხოეთის ვალია.

რუსეთის ემიგრანტები იაპონიიდან სამშობლოში მოეშურებიან.

კობე. 17 სექტემბერი. დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა დაადგინა მიმართოს ს. ს. რ. კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს კამენევს და გარეშე საქმეთა სახ. კომისარს ჩიჩერინს თხოვნით, რათა რუსეთში შემოსვლის ნებართვა მისცეს 250 რუს ემიგრანტს, რომელნიც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ პოლიტიკურ საქმეებში და ილტვიან სამშობლოსაკენ.

დახმარების საერთაშორისო კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ემიგრანტების კობედან გაყვანა საჭირო სურსათის დიდი ნაკლულოვანების გამო.

იაპონელი მოხელეები კაპიტალისტებში ეძებენ „ზნეობას“.

ოსაკა. 18 სექტემბერი. ახლად გამოცემულ დეკლარაციაში, იაპონიის კაბინეტი მიჰმართავს კაპიტალისტების კლასის ზნეობრივ გრძნობას და თან აგრძნობინებს, რომ სპეკულიაციის ნებას არ მისცემს მათ.

ბიუროკრატიისა და მსხვილი ბურჟუაზიის კოალიცია.

ოსაკა. 18 სექტემბერი. დაარსდა უზენაესი კომისია იაპონიის აღსადგენად, რომელიც არსებითად წარმოადგენს ბიუროკრატიისა და მსხვილი ბურჟუაზიის კოალიციას. კომისია აბათილებს ტოკიოში გადარჩენილ შენობათა განზრახულ მუნიციპალიზაციას.

მუშაობა იაპონიის აღსადგენად.

ხარბინი 18 სექტემბერი. იაპონიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის გზათა სამინისტროს იმედი აქვს ერთს კვირაში აღადგინოს რკინის გზებით მიმოსვლა.

იაპონია.

იაპონიის 160 ბანკმა ოპერაციები დაიწყო. იოკაგამაში გაიხსნა აბრეშუმის ბირჟა. სამეფო გვარეულობის წევრებმა დაზარალებულ საელჩოებს ბინები დაუთმეს თავის სასახლეებში.

საკავშირო რესპუბლიკის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან დაარსდა იაპონიის დამხმარე კომისია

მოსკოვი 18 სექტემბერი. საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა შეადგინა ცენტრალური კომისია იაპონიის მშრომელთათვის დახმარების გასაწევად კომისიის განკარგულებაში ამთავითვე გადაიდო 200,000 მ. ოქრო. კომისიას დავალებული აქვს გამოარკვიოს დახმარების სახე და შეიმუშაოს ხანგრძლივი დახმარების საშუალებანი შემოწირულების შეგროვებისა თუ სხვაგვარი სახით.

გერმანიის ამბები

რეინლანდის ბლოკადის მოხსნა.

რომი 19 სექტ. რეინლანდის ოლქისა და ოკუპაციის გარეშე გერმანიის შორის მიმოსვლა აღდგენილია. ამ გვარად რეინლანდის ბლოკადა მოხსნილია.

რაზე თათბირობენ ბალდვინი და პუანკარე.

ბერლინი 19 სექტ. ჰავასის სააგენტო აქვეყნებს აშკარათ ინსპირატიულ ცნობას, თითქოს ბალდვინსა და პუანკარეს შეხვედრას არავითარი პოლიტიკური სარჩული არ უდევს. ნამდვილათ კი ორივე პრემიერი უთუოდ ურთიერთ გაუზიარებენ საკუთარ აზრებს საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტისა და სამოკავშირეთაშორისო ვალების მოწესრიგებისათვის და, აგრეთვე, მშვიდობიანობის და კონტინენტის ტერიტორიულ მდგომარეობის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზანია გაუგებრობის აცილება მომავალში ორთავე სახელმწიფოს შორის.

სასურსათო საკითხი.

პარიზი. 19 სექტემბერი. გერმანიის მთავრობამ გააუქმა ყოველგვარი აკრძალვა, რომელიც ეხებოდა ექსპორტს, სურსათისა და პ რველ მოთხოვნილების საგნების გამოკლებით სასურსათო დიქტატურის დაწესება

შტრეზემანი ვაჭრობს.

პარიზი. 19 სექტემბერი. გაზეთი „ინვინგ სიუზ“ ი სწერს: „გერმანია განაგძობს ვაჭრობას, რათა რაც შეიძლება უფრო ძვირათ გაყიდოს პასიური წინააღმდეგობა, რომლის დამარცხება საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ საფრანგეთი არც ისე გულუბრყვილოა, რომ ანკესზე წამოეგოს და ხელიდან გაუშვას რური მანამდი, სანამ გერმანია საბოლოოთ არ გაასწორებს ანგარიშს“.

ლოკაუტი დიუსელდორფში.

პარიზი. 19 სექტემბერი. დიუსელდორფში, პასხათ გენეს და მანნესმანის წარმოებათა მუშების მუქარაზე, ქარხნების დირექციებმა ლოკაუტი გამოაცხადეს.

საკონტრიბუციო საკითხი

მკვდარ წერტილზე.

პარიზი. 18 სექტემბერი. პარიზსა და ბერლინს შორის მოლაპარაკება მკვდარ წერტილზეა გაყინული. საფრანგეთის მთავრობა თითქოს დაინტერესებული არ არის მოლაპარაკების დაჩქარებაში, რადგანაც საფრანგეთს რურის შენარჩუნება სწადიან. „ჟურნე ინდუსტრიელ“-ი, რომელიც მძიმე ინდუსტრიის აზრის გამომხატველია, აღნიშნავს, რომ სარეპარაციო გადასახადი შეიძლება მოგროვდეს გერმანიის მეურნეობიდან

იგივეა.

ბორდო. 18 სექტემბერი. დეისიურმეზეში პუანკარემ განაცხადა: გერმანია თავს არიდებს თავის ვალდებულებას, საფრანგეთმა კი, როგორც ომიანობაში უდიდესად დაზარალებულმა ქვეყანამ, უნდა გაახსენოს მას თავისი დაპირებანი და ვერსალის ხელშეკრულება უნდა შეასრულებინოს. ამ ხელშეკრულებით სარეპარაციო თანხას და მის გადახდის ვადას სარეპარაციო კომისია განსაზღვრავს, რომლის დაშლაზედაც საფრანგეთი არ დასთანხმდა. საფრანგეთს ხელთ უპყრავს გირაო, რომელსაც ხელიდან არ გაუშვებს, ვიდრე მთლად არ იქმნება დაკმაყოფილებული.

პასიურ წინააღმდეგობისათვის გადადებული თანხების კონფისკაცია

ბორდო. 18 სექტ ბრიუსელიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ბელგიელებს კონფისკაციით ჩამოურთმევიათ 3 ნახ. ტრილიონი მარკა, რომელიც აღმოუჩენიათ გერმანიის ჰაეროპლანზე ეს ფული პასიურ წინააღმდეგობისათვის ყოფილა გადადებული.

ფიუმეს საკითხი

დ'ანუნციოს გადადგომის შემდეგ ფიუმეს განაგებდა მუნიციპალიტეტი, რომელიც შეხცვალა მუსოლინის მიერ დანიშნულმა გენერალ-გუბერნატორმა.

უკანასკნელი ცნობებით, იტალია ჯარს აგროვებს სამხრეთ-სლავიის საზღვრებზე. ჯერ-ჯერობით იქ უკვე იმყოფება 4 დივიზია.

მოელიან ბულგარეთის ჯარების შეჭრას სამხრეთ-სლავიაში.

საკითხის გამწვავება.

ვენა. 18 სექტემბერი. ფიუმეში შინაგანი მდგომარეობა შეიცვალა. ეს გარემოება ამწვავებს სამხრეთ-სლავიის საქმეს. როდესაც დანუნციომ ფიუმე დასცალა, ქალაქს განაგებდა მუნიციპალიტეტი ფიუმეს ავტონომიის მომხრე ცაპელლის მეთაურობით. იტალიის დახმარების წყალობით, მუნიციპალიტეტი მალე გადააყენეს. და ქალაქის მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდეს იტალიასთან ფიუმეს შეერთების მომხრეებმა. სამხრეთ სლავიის და იტალიის დავის არსებითს მუხლს შეადგენს ფიუმეში წინანდელი ხელისუფლების აღდგენა. მუსოლინმა ქალაქის სამხედრო გენერალ გუბერნატორად დანიშნა გენერალი ჯარდინო, რაც ფიუმეს სამხედრო ოკუპაციას უდრის.

ფიუმეს მთავრობა გადადგა.

რომი. 18 სექტემბერი. ფიუმედან იუწყებიან, რომ ადგილობრივი მთავრობა გადადგა. იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა, ფიუმეს საკითხის საბოლოოდ მოწესრიგებამდე, ქალაქის გენერალ გუბერნატორად დანიშნოს გენერალი ჯარდინო. ეს ამბავი სამხრეთ-სლავიისაც ეცნობა.

სამხედრო გადატრიალება ესპანეთში

მთელი ძალა უფლება გადაეცა სამხედრო მინისტრს, რომელიც თითონ განაგებს ყველა სამინისტროებს.

ესპანეთის მეფემ მოაწერა ხელი პარლამენტის დათხოვნის დეკრეტს.

საფრანგეთის პრესის განცხადებით, ესპანეთში მომხდარი გადატრიალება ძლიერ გავლენას მოახდენს საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ესპანეთის ახალი პრემიერი გენერალი დე-რივერა იმყოფება მსხვილი მრეწველების გავლენის ქვეშ.

მთელი ესპანეთი საალყო წესებზეა.

მეფემ ხელი მოაწერა სამხედრო დირექტორიის დეკრეტს.

ბორდო. 18 სექტემ. დე-რივერა მადრიდში ჩამოვიდა და ფიცი მიიღო, როგორც ახალი მთავრობის თავმა. მეფემ ხელი მოაწერა სამხედრო დირექტორიის დაწესების დეკრეტს. სამხედრო დირექტორიაში შედის 8 გენერალი და ერთი კონტრ-ადმირალი. ნამინისტრალებს — გარსიას, ალბას (დამახინჯებული) სამართალში აძლევენ.

მთელი ხელისუფლება სამხედრო მინისტრს გადაეცა.

ბორდო. 19 სექტემ. მადრიდიდან იუწყებიან, რომ მეფის დეკრეტით მთელი ხელისუფლება გადაეცა სამხედრო მინისტრს. უწყებათა მიმდინარე საქმეებს აწარმოებენ სათანადო მოხელეები.

პარლამენტის დათხოვნა.

ჰანოვერი. 19 სექ. მადრიდიდან იუწყებიან, რომ მეფემ ხელი მოაწერა პარლამენტის დათხოვნის ბრძანებას.

გადატრიალება საფრთხეს უმზადებს საერთაშორისო მდგომარეობას.

პარიზი. 19 სექ საფრანგეთის მემარცხენე გაზეთები შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია გამწვავდეს საერთაშორისო ურთიერთობა ესპანეთის გადატრიალების გამო. ესპანეთის სოციალისტებმა გადასწყვიტეს თავი შეიკავონ გამოსვლისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის მოძრაობას ანტი პარლამენტის ხასიათი აქვს.

26 გმირთა ხსოვნას.

წარსულის სევდით ავსილი მოვმართე ქნარი მღელვარე,
ცეცხლის ალებით ავფერე, ავმეხე, აველვარე.
ცათ ნაფეთქ ბრძოლის ჰანგებით მიდამო [illegible]
ოცდაექვს გმირთა აზვავი აქარვებს სევდა-იარებს..
და, ჰა, ამქუხრდა მგოსანი — მკვნესე მთა[illegible]
დაჰკვინა, დააკანკალა მშფოთარე ჰანგი ზარისა:
„დაეცენ ბრძოლით გმირები, მცელნი ბარდ-ეკალ-ნარისა, —
„დაინთხა სისხლი უმანკო ოცდაექვს კომუნარისა!..“

—

...ატოკდა მებრძოლთ ბანაკი, რა ესმა ჰანგი მწუხარი,
ბრძოლის ველები ამხედრდნენ, ატეხა გრდემლმა ზანზარი
და ცეცხლმა შეანთქ, ჩაფერფლა შავ-ძალთ ხარხარი და ზარი..

—

დრომ დაჰკრა! გაქრა მონობა საოცარ ბედის განგებით;
ოცდაექვს გმირთ სადიდებლად დაჰქრიან მაშვრალ ჩანგები, —
კოკობვარდობენ არენი და ისმის ძლევის ჰანგები..

ოცდაექვსი.

ბრძოლის დროშებმა უმძიმესად გადო ვალი, —
სამსხვერპლო მიწაზე აღმართენ გმირთა გმირებს;
გოლგოთა ჩაქრა, — სისხლით ჩრდილავს მას „პერევალი“
მტერთა მახვილით მედიდურად განაგმირებს.

—

კომუნარები.. ოცდაექვსი დაეცენ ბრძოლით,
უმანკო სისხლი ანაკადდა, — დადგა ღვარები;
მაგრამ, მახვილი ვერ გვაშინებს ჩვენ შავად მქროლი, —
საგანთიადო მძლავრად ვრეკეთ ძლევის ზარები. .

—

და, ჰა, ლოდინში გრდემლმა ლაღად შექმნა გრიალი,
მაშვრალთ მიდამო ასხივოსნდა ცეცხლის ფრიალით,
და გადვიარეთ ალთქმულ გზებით ეკლნარ-ბარდები .

—

შვებისა ჰიმნით თქვენ სახსოვრად გმირთა გმირებო, —
ბრძოლის ველებზე მედიდურათ განაგმირებო,
ნაზ, ძმურ საფლავებს შემოვავლეთ ია-ვარდები.

ანაზარდი

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

საბერძნეთის მთავრობის ბოდიში

პარიზი. 19 სექტ საბერძნეთის სამხედრო მინისტრმა გადასცა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩებს ათინაში საბერძნეთის მთავრობის ოფიციალური ბოდიში.

მოკავშირეების საგამომძიებლო კომისია შეუდგა მუშაობას.

პარიზი 19 სექტემბერი. იანინში ჩავიდა მოკავშირეების საგამომძიებლო კომისია იაპონელ პოლკოვნიკ შიბუისას თავმჯდომარეობით და მაშინვე შეუდგა მუშაობას.

საყურადღებო წერილი.

რომი. 19 სექტემბერი. ინგლისის გაზეთები ათავსებენ ლორდ როტერმერის წერილს, რომელშიაც სასტიკად გაკრიტიკებულია ინგლისის შემცდარი პოზიცია, რომელიც მან დაიკავა იტალია-საბერძნეთის კონფლიქტში. წერილში გამოთქმულია იტალია ინგლისის წინანდელი ურთიერთობის აღდგენის სურვილი.

რურის ოლქში.

გერმანიის მთავრობამ განაახლა იტალიისათვის ნახშირის მიწოდება საკონტრიბუციო გადასახადების ანგარიშში.

დორტმუნდში გრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკება.

საოკუპაციო ჯარმა გააუქმა რურის ოლქში თავისუფლად მიმოსვლის შეზღუდვა.

ფრანგებმა მიიღეს აბსოლიუტური თავისუფლება რეინლანდის რკინის გზათა მართვა-გამგეობის საქმეში.

საკონტრიბუციო მიწოდებათა განახლება.

ბერლინი. 18. სექტემბერი. გერმანიის მთავრობამ განაახლა იტალიისათვის ნახშირის მიწოდება საკონტრიბუციო გადასახადების ანგარიშში

სისხლისმღვრელი შეტაკება დორტმუნდში.

ბერლინი. 18 სექტემბერი დორტმუნდიდან იტყობინებიან, რომ შაბათს იქ მოხდა მღელვარება, რასაც შედეგად მოჰყვა სისხლისმღვრელი შეტაკება.

„26“-ის ხსოვნას

(5 წლის თავზე)

უკვე ხუთი წლის თავია, მე კი მგონია, რომ ეს იყო სულ ახლო წარსულში, ასე ვსთქვათ, შარშან... როდესაც მე „ბაკინსკი რაბოჩისაგან“ ერთი კვირის წინად მივიღე დეპეშა, რომელშიაც იგი მთხოვდა დამეწერა რამე 5 წლის თავისათვის „26 კომუნარის“ შესახებ და გამეგზავნა არა უგვიანეს 16 სექტემბრისა. მე მომაგონდა დაწყევლილი ღამე, 19 20 სექტემბერი, მაგრამ არ მეგონა, რომ ეს იყო 5 წლის წინად, არამედ შარშან... მე ვერ შევუსრულე თხოვნა ბაქოელებს, რადგან დატვირთული ვიყავი საქმეებით დღემდის (18 სექტემბრამდე). მინდა ტფილისის პრესისათვის მაინც მოვასწრო რამე საჩქაროთ და მოვიგონო დაუვიწყარ მეგობრების და ამხანაგ-თანამებრძოლების შესახებ.

1918 წელი იყო საბჭოთა ქვეყანაში მრავალ ამბების და გართულებათა წელიწადი. საბჭოთა ქვეყანა მაშინ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პეტროგრად მოსკოვის რაიონებით. ერთი სიტყვით მიუხედავათ „ბრესტისა“, ასე ვსთქვათ, რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების თავები — პეტროგრადი მოსკოვი გადარჩენ და ენერგიულად აწარმოებდენ საერთაშორისო პოლიტიკას და ბრძოლას დიდი სამოქალაქო ომის (პროლეტარული რევოლიუციის) შინაურ ფრონტებზე.

უკრაინა ჩაბმული იყო ბრძოლაში კონტრ-რევოლიუციონერებთან, რომელთაც დახმარებას უწევდენ შერყეულ ტახტზე ჯერ კიდევ მჯდომარე (1918 წ. 9 ნოემბრამდე) კაიზერის გერმანელი ჯარები. „წყნარ დონზე“ და „თავისუფალ ყუბანში“ თარეშობდენ კორნილოვ-ალექსეევის და კრასნოვის ჯარები. მხოლოდ „ჭალარა თერგი“ (ჩრდილოეთ კავკასია), სრულიად გასაბჭოებული, რომელიც გეოგრაფიულად მჭიდროთ აკრავს ამიერ კავკასიას (ყაზბეგს იქით), სრულიად მოწყვეტილი და განცალკევებული იყო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

კაიზერის ჯარები კი სულთანის ოსმალეთის ჯარებთან ერთად მიიწევდენ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და გვიახლოვდებოდენ ჩვენ.

ბაქოში, ისე, როგორც თერგის ოლქში იყო „საბჭოთა ძალაუფლება“.

მუსავატისტები მენშევიკებთან — ჟორდანია რამიშვილთან ერთად ამზადებდენ მუხანათურ თავდასხმას ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოზე ისინი ოსმალო-გერმანელების შემოსვლის მოლოდინში, აჩარებდენ რა ამ უკანასკნელებს „მიუდგომელ“ ქალაქებს — ყარსს და ბათომს, აწყობდენ „დიკაია დივიზიას“ აზერბეიჯანის და საქართველოს შეიარაღებულ ბანდებისაგან. ქართველ თავადის, პოლკოვნიკ მაღალოვის მეთაურობით სადგურებში.

ეს პოლკოვნიკი შემდეგ ბ ნ ჩხენკელი ჟორდანიას და რასულ-ზადეთოფჩიბაშევის კონტრ-რევოლიუციონერ სამშობლოს დაცვისათვის ბაქოს ბოლშევიკურ საბჭოებისაგან დაჯილდოვებული იქმნა ბატონ ჟორდანიას მიერ გენერლის ჩინით.

მათ მოუსწრეს მენშევიკ-მუსავატისტების მეგობრებმაც — „გერმანელებმა“ და თათრებმა და თავისუფლად როგორც თავის მიწაწყალზე, 24 საათის განმავლობაში გაიარეს მთელ ამიერ-კავკასიის რკინის-გზა. მათ უმანსპინძლდებოდენ მენშევიკები და მუსავატისტები ბათომიდან მოყოლებული ბაქომდე.

ყოველმხრიდან გარსშემორტყმული, 1918 წლ. ივლისის და აგვისტოს გახურებულ დღეებში ბაქო, რომელსაც არ შეეძლო მიეღო დახმარება ჩრდილოეთიდან, მოკლებული წყალსაც კი ადგილობრივ მენშევიკების და მემარჯვენე ესერების მიერ შექმნილ პანიკურ განწყობილების ზეგავლენით, (ესერებს და მენშევიკებს შეუერთდენ მანამდე ბაქოს საბჭოს „ცრუ მეგობრები“ დაშნაკელები), იძულებული გახდა მიეღო მეფის გენერლის, — მესოპოტამიაზე და სპარსეთზე ბაქოში მომავალი ინგლისელების აგენტის, მემარჯვენე ესერის ბიჩერახოვის წინადადება. ბაქოზე მოტანილ უკანასკნელ იერიშამდე, ძალა-უფლება ბოლშევიკებისაგან საბჭოში გადავიდა მენშევიკების და მემარჯვენე ესერების ევრიდწოდებულ „ცენტრო კასპიის დიქტატურის“ ხელში. ბაქოს დაცემის საქმე ამით უკვე წინასწარ იქნა მომზადებული თუმცა ჩრდილოეთიდან დახმარება უკვე მიიღეს, მაგრამ უკვე საბჭოთა ხელისუფლების მტრების „ცენტრო-კასპიის დიქტატურის“ ხელში იყო ბაქო და, რა თქმა უნდა, მენშევიკების და მემარჯვენე ესერების ხელისუფლებას არ შეეძლო არ ჩაებარებია მუშური საბჭოთა ცენტრი ზაფხულის სიცხისა და ბოლშევიკებთან ხანგრძლივი და გაფთრებული ბრძოლისაგან გონება-დაკარგულ ოსმალოებისათვის.

მაგრამ აქ საინტერესოა ბაქოს მუშების და მათი საბჭოს ტრაგედიის მეორე მხარე... უკანასკნელის ნამდვილი წინამძღოლები — ჩვენი „26“ კომუნარი ძველი ბოლშევიკების — დაუვიწყარ მეგობრების შაუმიანის, ჯაფარიძის, ფიალეტოვის და სხვების მეთაურობით მენშევიკების და მემარჯვენე ესერების წყალობით ხელში ჩაუვარდენ ინგლისელებს, ამიერ კავკასიის მაშინდელ დამპყრობელების ოსმალო-გერმანელების — მოწინააღმდეგეთ. და იმათ, ორივე მებრძოლ მხარესათვის საერთო ინტერესების მიხედვით, კონტრ რევოლიუციონური მიზნით, რათა დაეხრჩოთ ბოლშევიზმი და საბჭოთა ხელისუფლება, სწრაფად მოუსპეს კომუნარებს სიცოცხლე 1918 წ. 19—20 სექტემბერს ღამით „კასპიის იქით“ მიყრუებულ მინდორში. „შორს მჭვრეტელი“ და მუხანათი ინგლისელი გენერლები და მოხელეები მხედველობაში იღებდნენ, რომ ისეთი მებრძოლები, როგორც „26“ კომუნარი, მათ მომავალ ინტერვენციის დროს საბჭოთა რუსეთში იქნებიან გამოცდილი წინამძღოლები და კომისრები დიდი სამოქალაქო ომის (წაიკითხე: პროლეტარულ რევოლიუციის) საბრძოლველ ფრონტებზე.

„26“ კომუნარიდან 6 შემიძლია კონკრეტიულად მოვიგონო დაახლოვებით 5—6 ამხანაგი, რომელთაც ბაქოს უკანასკნელ ტრაგედიამდე 1918 წ. უხდებოდ თ ჩემთან ერთად მუშაობა და ბრძოლა ბაქოს, ტფილისსა და პეტროგრადში და აგრეთვე საზღვარ-გარეთ რუს. სოც-დემ. მუშ. პარტიის არალეგალურ ყრილობებზე

მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, მათ შესახებ ვრცელ მოგონებებს მე გადავდებ უკეთეს მერმისისათვის, როდესაც მე ვიშოვი უფრო მეტ თავისუფალ დროს და ჩემი ჯანმრთელობაც ცოტაოდნათ გამოკეთდება.

ეს დაუვიწყარი ამხანაგებია — **სტეფანე შაუმიანი, ა. ჯაფარიძე (ალიოშა), ვანია ფიალეტოვი, გრიშა კორგანოვი**, ბოგდანოვი (სწორეთ ამ უკანასკნელს არ ვიცნობდი, თუმცა პირადად ხშირად ვხვდებოდი მას საერთო რევოლიუციონურ ბრძოლის დროს).

დავიწყებ უკანასკნელიდან, მე ის გავიცანი ტფილისში 1917 წელს, მაისის დასაწყისში, როდესაც პეტროგრადის აპრილში მოწვეულ პარტიულ კონფერენციის შემდეგ როგორც ბაქოში, ისე ტფილისში ვაწარმოებდი გამიჯვნას შემთანხმებელთა და ჩვენს შორის.

ამხ. ბოგდანოვი იყო შეუდარებელი აგიტატორი ჯარისკაცებს შორის, ის დადიოდა არა მარტო ყაზარმებში და დიდ დემონსტრაციებზე, არამედ მაშინ ცნობილ (თითქმის ყოველდღიურ) მიტინგებზე ალექსანდრეს ბაღში, სადაც მაშინ ტრიბუნაც იყო ყველა ორატორებისათვის და სკამებიც მსმენელთათვის. იქ თავს უყრიდა, განსაკუთრებით საღამოობით ჯარისკაცებს გარდა, ყოველგვარი საზოგადოება, მათ რიცხვში ბევრი პროვოკატორებიც.

მასსები ელოდენ საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას, როგორიც იყო მიწის საკითხი, ომი და ზავი და სხვა მასიდანვე გადიოდენ ტრიბუნაზე მრავალი ორატორები. მიტინგები თითქმის თავისით იმართებოდა, — არ იყო არავითარი ხელმძღვანელი ორგანიზაციები.

ნამდვილად კი მას ხელმძღვანელობდა ნამდვილ რევოლიუციონერ-ბოლშევიკის დიდი უნარით და ენტუზიაზმით დაჯილდოებული ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგი (შედარებით ახალგაზრდა) ბოგდანოვი. ხშირად მასებს, საღამოობით გვიან, ბოგდანოვის უკანასკნელი გამოსვლის შემდეგ, როდესაც ის იძლეოდა ნათელს, რევოლიუციონურად და ბოლშევიკურად ჩამოყალიბებულ პასუხს, ის ხელით მიჰყავდათ ბოლშევიკურ გაზეთის „კავკასკი რაბოჩის“ რედაქციამდე, სადაც ხელახლა იხსნებოდა ახალი მიტინგი ჩვენი მონაწილეობით და ნაშუაღამევს დამთავრდებოდა ხოლმე კიდევ ახალი რეზოლიუციის მიღებით.

დაუვიწყარი ამხანაგია გრიშა კორგანოვი. იძულებითი ოფიცერი რუსეთის არმიის, — პროპაგანდისტი, აგიტატორი და იმპერიალისტურ ომის ფრონტებზე ბოლშევიკურ იაჩეიკების ორგანიზატორი. ისიც აგრეთვე ტფილისში გავიცანი 1917 წ. მაისში, როდესაც მიწვეული ვიყავი მის და სხვა ამხანაგების მიერ აღმოსავლეთის (კავკასიის) ფრონტის ჯარისკაცთა დელეგატების I ყრილობაზე — ლექციების წასაკითხავად მარქსიზმის, რევოლიუციის, ომის, ზავის და ჩვენი პროგრამის შესახებ, — რაც მე შევასრულე 5—6 ლექციაში, ამავე დროს მუდმივად ვმუშაობდი ტფილისში, მოცალება არ მქონდა, ხან ერთ ბათალიონში და ხან მეორეში მიხდებოდა სიარული.

თვითეული ჩემი ლექციის და მრავალ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, ყოველთვის გამოდიოდა მშვენიერი ორატორი გრიშა და უკეთებდა რეზიუმეს ყველა ფერ იმას, რაც ჯარისკაცთა მასას აინტერესებდა, მაძლევდა მე კიდევ უფრო ღრმა და კონკრეტიულ კითხვებს...

რამდენიმე თვის შემდეგ მან მოახერხა მთელი კავკასიის ფრონტის ბოლშევიკ-დელეგატების კონფერენციის მოწვევა მუშტაიდის ბაღში..

იქ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და გამოვიტანეთ ჯარისკაცთა მასებისათვის გასაგები, წითელი, რევოლიუციონური რეზოლიუციები „საბჭოთა ხელისუფლების“ სასარგებლოთ.

დაუვიწყარი ამხანაგი ვანია ფიალეტოვი... ის იყო ბაქოელი მუშა. ისიც გავიცანი 1917 წლის მაისის პირველ (1—5) რიცხვებში ბაქოში — პირველად საქალაქო კონფერენციაზე და ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე. უფრო ახლოს იმავე დღეს მე გავიცანი ის ბაქოს პასუხისმგებელ ამხანაგების შაუმიანის, ჯაფარიძის, ნანეიშვილის (მის ბინაზე) და სხვების ვიწრო წრეში. აქ მე დავაყენე კითხვა აპრილის კონფერენციის ყველა რეზოლიუციების მიღების და მენშევიკებთან მაშინ შემთანხმებელ (კონტრ რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან) სოციალიზმის და რევოლიუციის მოღალატეებთან დაუყოვნებლივ პარტიულ და ორგანიზაციულად გამიჯვნის შესახებ.

ამხ ვანიამ ჩვენს უკანასკნელ კრებაზე გამოსთქვა დასაბუთებული აზრი მენშევიკებთან (ორგანიზაციულად) დაუყოვნებლივ გამიჯვნას სასარგებლოდ, რათა მიგვემხრო ის მასები, რომელნიც მათ (მენშევიკებს) მისდევდენ.

ჩემი პასუხი, რომ მუშათა მოძრაობის ისეთ მნიშვნელოვან ცენტრში, როგორიც არის ბაქო, სასწრაფოდ ბოლშევიკური ორგანიზაციის თვითგამორკვევისათვის არარის საჭირო დაწვრილმანება, არ მოეწონა ამხ. ბოლშევიკს... ეს ჩემი სიტყვები მიმართული იყო არა მარტო მისადმი არამედ სხვებისათვისაც, რომელნიც ანალოგიურად აწარმოებდენ.

ამხ. ფიალეტოვმა შეურაცყოფილად იგრძნო თავი, უარი სთქვა სიტყვის თქმაზე, და განაცხადა: ჩვენ ბრალს გვდებენ „დაწვრილმანებაში“, მაშასადამე, ჩვენ ან ვერ გაგვიგეს, ან მართლაც საჭიროა აჩქარება... და ამის შემდეგ საწინააღმდეგო არაფერი აღარ უთქვამს და ჩვენთან ერთად ხმა მისცა დაუყოვნებლივ გამიჯვნას და ბაქოში ბოლშევიკურ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

ამხ. ალიოშა ჯაფარიძე და სტ. შაუმიანი — მათი ერთმანეთისაგან დაშორება ძნელია. ბაქოში მუშაობის დროს ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი 1905 წლის რევოლიუციის დროიდან, ისინი ერთად ატარებდენ მუშაობის სიმძიმეს მუშათა დიდ ცენტრში 1907 წლიდან, ლონდონის უკანასკნელ ყრილობიდან მოყოლებული, რეაქციის მთელ პერიოდში 1917 წლამდე და შემდეგ მათი ტრაგიკულად დაღუპვის მომენტამდე 1918 წ. 19-20 სექტემბრამდე, მართალია, ალიოშა ჯაფარიძე კიდევ უფრო ძველი მუშაკია ბაქოში — 1904 წლიდან ამხ. სტეფანე 1907 წლამდე მუშაობდა ტფილისში. ბაქოში მე და ის რამდენიმე დღით ჩავდიოდით პარტიის სასწრაფო საქმეებზე (როგორც ამიერ კავკასიის საოლქო ყრილობა) ან ადგილობრივ საქმეებზე, როგორც ამიერ-კავკასიის სოც.-დემ მუშათა ორგანიზაციის საკავშირო კომიტეტის წევრები.

პირველათ მე გავიცანი ამხ ალიოშა ჯაფარიძე 1902 წელს შემოდგომაზე, როდესაც მე ამა წლის შემოდგომაზე რუსეთის ციხეების ეკატერინოსლავის, ხარკოვის და მოსკოვის საკანებში ჯდომის შემდეგ ვიმყოფებოდი რუსეთის ჟანდარმერიის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ.

ყველა ძველ და ახალ ამხანაგებიდან ირჩეოდა, როგორც ყველაზე რევოლიუციონერი — აქტიური, ენერგიული და თავდადებული მაშინ ახალგაზრდა ალიოშა ჯაფარიძე. მისი დახმარებით მე მოვახერხე ქუთაისში პარტიული ორგანიზაციის (იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის) დაარსება და გურიის, რაჭის, სამეგრელოს სოფლებში და, რაც უმთავრესია, იმერეთის სამრეწველო ცენტრებში — ჭიათურა ტყიბულში მუშაობის დაწყება.

ბაქოში ის მოხვდა 1 ნახ. — 2 წლის შემდეგ, უკვე გამოცდილი და მომწიფებული მუშაკი, როგორიც საჭირო იყო ამ მუშათა დიდი ცენტრისათვის იქ დამოუკიდებლად, ჩემი დ უხმარებლად მან გამოიჩინა თავი: მიემხრო რა რუს. სოც.-დემ მუშათა პარტიის ბოლშევიკურ მიმდინარეობას, მან მოახერხა თავისი ტაქტიკით და უსაზღვრო თავდადებით შეეკავებია მასები მენშევიკების მხარეზე გადასვლისაგან, განსაკუთრებით 1907 — 1916 წლის რეაქციის და ომის წლებში...

შემდეგ 1907 წლიდან მის დასახმარებლად ჩავიდა ბაქოში ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგი სტეფანე შაუმიანი... და ორივე, ალიოშა და სტეფანე, როგორც საპალნის ხარები ატარებდენ პარტიულ-არალეგალურ მუშაობის მთელ სიმძიმეს არა მარტო მეფის აგენტებთან, არამედ მოღალატე — მენშევიკ - ლიკვიდატორებთან ბრძოლის დროს. ბევრჯერ მოუხდათ მათ ციხეებში ჯდომა და ყინულიან შორეულ ჩრდილოეთში და ციმბირში წასვლა. მიუხედავათ ამისა, მათ მოაღწიეს 1917 წლის რევოლიუციამდე კრისტალურად წმინდა რევოლიუციონერებმა და შეუპოვარმა ბოლშევიკებმა. სალოწარკვეთილების და ლიკვიდატორობის ნაპერწკალი არ შეეხბია ამიერ-კავკასიის რევოლიუციის ამ „მებრძოლ რაშებს“. ისინი გადაურჩენ ომშიაც და ომამდეც სოციალ პატრიოტიზმის, „ობორონჩესტვოს“ და ბატონ ჟორდანია-წერეთელის და დაშნაკ-მუსავატისტების ყოველგვარ ნაციონალიზმს და შოვინიზმს. ისინი შეურიგებლად იბრძოდენ მათ.

აი, სწორედ ამიტომ 1917 წ. მაისში, აპრილის კონფერენციის შემდეგ ისინი დამეთანხმენ მე და მხარი დაუჭირეს სოციალიზმის რენეგატებთან — მენშევიკებთან დაუყოვნებლივ გამიჯვნას.

დეე, ნუ იქნება დავიწყებული მათი სახელები ისე, როგორც დაუვიწყარი ამხანაგები ვანია ფიალეტოვი, გრიშა კორგანოვი და შეუდარებელი აგიტატორი და ჯარისკაცთა მასსების ორგანიზატორი ბოგდანოვი ჩვენს პროლეტარულ გულში ამიერ-კავკასიის ამხანაგო მუშებო და გლეხებო!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ს. ს. რ. კავშირში და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკაში ბევრ რამეში უნდა უმადლოდეს მათ

მე ამჟამად შეუძლოთ ვარ, მეტის წერა აღარ შემიძლია, დანარჩენი შემდეგ.

მიხა ცხაკაია.

ბორჯომი, 18 სექტ. 1923 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგები სანგრებს სთხრიან.

ბერლინი 18 სექტემბერი. გაზ. „იუმანიტეს“ ცნობით (საფრანგეთის კომპარტიის ორგანო). ფრანგები რკინისგზის ხაზის გასწვრივ და რურის დიდ ქალაქებში აკეთებენ ბარიკადებს. ეს მზადება იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ მოსალოდნელია ახალი სერიოზული სისხლისღვრა.

მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება.

ბერლინი. 18 სექტემბერი ორშაბათ ღამით საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააუქმეს რურის ოლქსა და გერმანიის დანარჩენ ნაწილს შორის მიმოსვლის თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვანი.

რურის მრეწველობა უცხოეთის კაპიტალისტებს ჩაუვარდა.

ბერლინი. 15 სექტემბერი. მიუხედავათ მემარჯვენე პრესის უარყოფისა, პარლამენტის ოპოზიციონურ წრეებში ირწმუნებიან, რომ კრუპპის ლუშერისა და ურხატის მიერ დადებულ ხელშეკრულების შემდეგ, რომლის თანახმათ რურის სამრეწველო დაწესებულებების ნახევარი ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ხელში გადავიდა, რურის მრეწველობის ინტერნაციონალიზაცია შესრულებულ ფაქტათ გადაიქცა.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

შვეციის გაზეთები აღნიშნავენ, რომ არ არსებობს პრინციპიალური დაბრკოლებანი საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის აღდგენისათვის.

ინგლისის სავაჭრო წრეებში მომწიფდა აზრი საბჭოთა რესპუბლიკების ცნობის სასარგებლოთ. ზოგიერთი ფირმის წარმომადგენლები აღნიშნავენ საბჭოთა რუსეთის მოღონიერებას ეკონომიურად

ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ რუსეთის აღორძინებამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპის ეკონომიურ მდგომარეობაზედ.

საჭიროა რუსეთთან საქმიანი ურთიერთობის აღდგენა.

სტოკჰოლმი. 19 სექტემბერი. შვეციის გაზეთები გულმოდგინეთ ეხებიან ამხ. კრასინის საუბარს რუსეთ-შვეციის ურთიერთობის შესახებ. აღნიშნავენ, რომ არ არსებობს პრინციპიალური დაბრკოლება ურთიერთობის აღსადგენად და მოითხოვენ, რათა დაუყოვნებლივ იქმნეს რუსეთთან მოლაპარაკება საქმიანი ურთიერთობის შესახებ; თანაც აღნიშნავენ, რომ სავაჭრო უქონლობა აფერხებს რუსეთთან აღებ-მიცემობას“.

„სოციალ-დემოკრატენ“-ი ბურჟუაზიულ გაზეთებს ეკამათება და აღნიშნავს: კრასინთან საუბარმა დაამოწმა რუსეთის უკმაყოფილება იმის გამო, რომ შვეციას არა სურს ოფიციალურად მოაწესრიგოს საკავშირო რესპუბლიკასთან ურთიერთობა. „სოციალ-დემოკრატენ“-ში მოთავსებულია შვეციაში მყოფ რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელ ოსიპოვთან ვრცელი საუბარი, რომელსაც განუცხადებია, რომ კრასინის ნათქვამი გამოჰხატავს რუსეთის საქმიანი წრის აზრს, რომელსაც სურს შვეციასთან განაახლოს სრული აღებ-მიცემობა, თუმცა მზად არიან უარი სთქვან შვეციასთან ყოველგვარ გარიგებაზე, ვიდრე სავსებით არ იქნება დამყარებული ნორმალური ურთიერთობა.

რუსეთის ცნობის მნიშვნელოვნობა.

ლონდონი. 18 სექტ. „ბეკოს“-ის ფირმის წარმომადგენელი მარშალი, მის წინააღმდეგ მიმართულ წერილზე „რუსეთის კრედიტორთა ინგლისის ასოციაციები“, სწერს: „ბეკოს“-ის დელეგაცია დარწმუნებულია, რომ ინგლისისა და საბჭოთა მთავრობებს შეგნებული აქვთ რუსეთის ცნობის მნიშვნელოვანება და ინგლისის ძველი საკუთრების აღდგენის მნიშვნელობაც. „ბეკოს“-ი ფიქრობს, რომ რომ ეს დიპლომატიური საკითხი თავისუფლად შეიძლება გადასწყდეს, თუ კი ამისი გადაწყვეტა თვითონ მთავრობებს მიენდობა.

მარშალი აბათილებს გაზ. „იუზ“-ის ჭორებს, ვითომც საბჭოთა მთავრობას კონფისკაციით მიეთვისებინოს ინგლისის ქონება ვლადივოსტოკში და აცხადებს, რომ „ბეკოს“-ს ვლადივოსტოკში ჰყავს სააგენტო, რომლისაგანაც არავითარი ცნობა არ მოსულა რაიმე კონფისკაციის შესახებ.

„ბეკოს“-ის დელეგაციის წევრის აზრი.

ლონდონი. 18 სექტემბერი. **„ბეკოს“ ის დელეგაციის წევრმა ფორდმა ბირმინგჰამში კრებაზე აღტაცებით მოიხსენია რუსეთის ეკონომიური აღორძინება.** მან სთქვა: „გამოფენა—ეს არის საუკეთესო და მარჯვე ცდა ეკონომიურ აღმშენებლობის ისტორიაში. ამ უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში რუსეთის ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს. **რუსეთის ვალიუტა, რომელიც ნაწილობრივ უზრუნველყოფილია** ოქროთი, უმჯობეს პირობებშია ვიდრე ევროპის ბევრ სახელმწიფოთა ვალიუტა. რუსეთის გარემოცვამ უძლიერესი მუჯლუგუნი ჰკრა საკუთარი მრეწველობის გაძლიერებას, რასაც შედეგად მოჰყვა ბევრი წარმოების განვითარება, რომელიც წინეთ უცხოეთიდან შედიოდა რუსეთში. რუსეთის ბაზარზე საქმიანი მდგომარეობა შეიქმნა. საბჭოთა ხელისუფლება უკიდურეს მზრუნველობას იჩენს კომერციული საქმის ხელის შეწყობაში. სახელმწიფო ბანკში სახელდახელო ანგარიშებს დიდი ნდობა აქვს მოპოვებული.

რუსეთის აღორძინებას გავლენა აქვს უცხოეთის საფინანსო ბაზარზე.

ლონდონი. 18 სექტემბერი. „მანჩესტერ გარდიენ“-ი აღნიშნავს, რომ რუსეთის აღორძინებას ამ უკანასკნელ 3 კვირის განმავლობაში გავლენა აქვს უცხოეთის საფინანსო ბაზარზე. გაზეთს მხედველობაში აქვს რუსეთის აქციებზე ხშირი გარიგებანი და ამ გარემოებას აწერს რუსეთში ნამყოფ „ბეკოს“-ის დელეგაციის მოხსენებათა კეთილ გავლენას.

რუსეთი უნდა მონაწილეობდეს ერების თანამშრომლობაში.

ლონდონი 18 სექტემბ. „ტაიმს“-ი მეთაურ წერილში სწერს: „საქმიანი წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ საკითხი რუსეთის ვალებისა ნამდვილად გადასწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთს მონაწილეობას მივაღებინებთ ერების თანამშრომლობაში“. გაზეთს საჭიროდ მიაჩნია რუსეთში გაგზავნა ტეხნიკური კომისიისა ინგლისის მანქანის მშენებელ მრეწველობის მხრივ ხელიდან არ უნდა გავუშვათ რუსეთის რკინის სიმდიდრესთან დაკავშირებული შესაძლებლობანი. საჭიროა გერმანიას გავასწროთ.

ლატვია.

ლატვია არსებითად არის დაინტერესებული საბჭოთა რუსეთით.

რიგა. 18 სექტემბერი. მოსკოვში გამგზავრების წინ, ლატვიის ფინანსთა მინისტრმა პუნგემ გაზეთების თანამშრომლებს განუცხადა, რომ რუსეთ-ლატვიის ურთიერთობა ძირითად საკითხს წარმოადგენს დანარჩენ სახელმწიფოებთან ლატვიის მოლაპარაკების დროს. პრინციპიალურ წინააღმდეგობის მიუხედავად, ლატვიაში ცენტროკავშირის ბანკის დაარსება ეკონომიურს აუცილებლობას წარმოადგენს.

ლატვიის ფინანსთა მინისტრის ჩამოსვლა მოსკოვში.

მოსკოვი 17 სექტემბერი. სექტემბრის 16-ს მოსკოვში ჩამოვიდა ლატვიის ფინანსთა მინისტრი პუნგე.

საბჭოთა რესპუბლიკები და ფინეთი

აღმოსავლეთ კარელიის საკითხი.

მოსკოვი. 18 სექტ კარელიის საკითხის გამო რუსეთსა და ფინეთს შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლა თითქმის 2 წელიწადია გრძელდება. საბჭ. ფედ რუსეთის დეკლარაციაში, რომელიც დაწერილია იურევის ხელშეკრულების დადების დროს, ნათქვამი იყო, რომ კარელიის მოსახლეობა, **კარელიის მშრომელთა კომუნის ფარგლებში, სარგებლობს შინაგანი ავტონომიით.** როდესაც დეკლარაცია ფრანგულ ენაზე გადაითარგმნა, დამახინჯების გამო სავალდებულო ხასიათი მიიღო. ერთა ლიგამ სადაც საფრანგეთმა განასაჩივრა ეს საკითხი, საქმე გადასცა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს, რომელმაც ამ საკითხში თავისი თავი კომპეტენტურად ვერა სცნო. აგვისტოს 20-ის თარიღით ფინეთის საკავშირო რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლისათვის გადაცემულ მემორანდუმში, ფინეთი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა სექტემბრის 15-ის თარიღით მოსკოვში მყოფ ფინეთის რწმუნებულისათვის გადაცემულ ნოტაში აღნიშნა, რომ ფინეთის ნოტაში აღნიშნული არგუმენტები ახალს არაფერს არ მატებს წინანდელს საბუთებს. საკავშირო მთავრობა სპეციალურ პასუხის გაუცემლად სტოვებს ნოტას და იმედოვნებს, რომ ფინეთის მთავრობა საბოლოვოდ გადაჰჭრილად ჩასთვლის აღმოსავლეთ კარელიის საკითხს.

ახლო აღმოსავლეთში

საბერძნეთი

ბელგიამ იცნო საბერძნეთის მთავრობა.

ბერლინი. 16 სექტემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ბელგიამ, როგორც საფრანგეთმა და ინგლისმა, იცნო საბერძნეთის მთავრობა. დღეს ბელგიის ელჩმა გადასცა საბერძნეთის მთავრობას თავისი რწმუნების ბარათები.

სხვადასხვა

პოლონეთი.

გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე

ვარშავა. 19 სექტემბერი. ლოძის ლითონის საგანთა დამმზადებელ ქარხანაში გაფიცვა დაიწყო ეკონომიურ ნიადაგზე.

ბრძოლა მთავრობასთან.

ვარშავა. 19 სექტემბერი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის კონფერენციამ დაადგინა, გააძლიეროს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ინდოეთი.

ინდოეთის ნაციონალისტების კონგრესი.

ლონდონი 18 სექტემბერი გაიხსნა ინდოეთის ნაციონალისტების კონგრესი. ინდუსებისა და მუსულმანების შორის აზრთა სხვადასხვაობა ეჩნევათ. კონგრესმა მოიწონა პროექტი პასიური წინააღმდეგობისა და ინგლისის ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმისა.

მღელვარება ინგლისელების ტერორის გამო.

ლონდონი. 18 სექტემბერი. აკალისის და ჯაიტენის ოლქებში მღელვარება დაიწყო. მაინს ოლქში ინდუსელ დემონსტრანტებს შეტაკება მოუხდათ ჯართან, დემონსტრანტები ბევრი დაატუსაღეს

ამერიკა.

ბრძოლა ფაშისტებთან

ნიუ იორკი 19 სექტემბერი. კიაკლუკს კლანის (ფაშისტების) წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ვერმონტის შტატში სამხედრო წესები გამოცხადდა.

პროექტი რუსეთ ამერიკის საზოგადოების დაარსებისა

კიევი 19 სექტემბერი. სახალხო მეურნეობის საგუბერნიო სამმართველოს ამერიკის სამაგალითო სამრეწველო კოოპერაციამ წინადადება მისცა დაარსონ შერეული რუსეთ ამერიკის საზოგადოება კაოლინის (თიხა) დასამუშავებლად, კუჩინაში(?); საზოგადოების ძირითად თანხად ნავარაუდევია 1,200,000 ოქროს მანეთი).

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთში.

ლენინზე თავდასხმა პარტიის ისტორიის კომისიის ჟურნალის გაშუქებით.

მოსკოვი. 19 სექტემბერი. პარტიის ისტორიის მორიგ ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლიუცია“-ში გამოქვეყნებული იქნება დოკუმენტები და მასალები, ლენინზე თავდასხმის შესახებ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თავდასხმის უახლოეს მოწმეთა ჩვენება.

ლატვიელი სტუმრები გამოფენაზე

მოსკოვი. 19 სექტემბერი. გამოფენაზე მივიდა ლატვიის ფინანსთა მინისტრი პუნძე, ლატვიის ელჩის ოზოლის და საელჩოს წევრების თანხლებით. სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენის უცხოეთის და რუსეთის მანქანის საალმშენებლო განყოფილებები. ამავე დროს პუნძემ განაცხადა: „ეს პავილიონი, ალბათ, სრულებით არ სიამოვნობს უცხოელებს. ეს მოწმობს, რომ რუსეთი სავსებით დამოუკიდებლათ ამზადებს საჭირო ნივთების უმეტესობას, რომელიც წინათ უცხოეთიდან შემოჰქონდათ და თითქმის ერთბაშად თავისუფლდება დასავლეთ-ევროპის დამოკიდებულებისაგან!.

თეთრი მარმარილოს მადანი.

ვლადივოსტოკი. 19 სექტემბერი. ხორვატოვის სანახებში აღმოჩნდა მდიდარი მადანი თეთრი მარმარილოსი.

27 მილიონი ფუთი უცხოეთის შაქარი.

მოსკოვი 19 სექტემბერი. მოსკოვის მომხმარებელმა საზოგადოებამ უცხოეთიდან მიიღო 27 მილიონი ფუთი შაქარი. დანარჩენი 35 ვაგონი შაქარი გზაშია და დღე-დღეზე მოვა.

ნახშირის ამოღების 185 პროც.

მოსკოვი. 17 სექტემბერი. ნახშირის ამოღება აგვისტოში უდრიდა ნავარაუდევის 135 პროც.

ციმბირის სიმდიდრენი.

პერმი. 18 სექტემ. კუნგურის მაზრაში აღმოჩენილია რკინის მადანი, ნავთი და სალიტოგრაფიო ქვა.

რიაზანის გამოფენა.

რიაზანი. 16 სექტემ. გაიხსნა საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის, შინა მრეწველობის და საქონლის მოშენების გამოფენა.

ამერიკული ხორბლეულის მოყვანის ცდამ წარჩინებული შედეგი გამოიღო

არხანგელსკი. 16 სექ. სასოფლო-სამეურნეო საცდელმა სადგურმა სცადა ამერიკული ხორბლეულის მოშენება ცდას წარჩინებული შედეგი მოჰყვა.

სამეცნიერო ექსპედიციის დაბრუნება.

არხანგელსკი. 16 სექ პროფესორ მესიაცევის სამეცნიერო ექსპედიციამ მიაღწია ფრანც-იოსების მიწამდე და უვნებლად ბრუნდება იგი არხანგელსკში დიდძალი სამეცნიერო მასალით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 18 სექტემბერი. სექტემბრის 12—14-ს ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოღებულია სულ 1,821,000 ფუთი ნავთი. საქაჩავში ჩაშვებულია 9,147,000 ფ. საქაჩავიდან დაბრუნებულია 1,135,000 ფ. დაწმენდილია 114,000 ფ. ბურღვაში იყო 168 დაზგა, ჩაბურღულია 177 საჟენი.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო 18 სექტემბერი. სექტემბრის 14—16 ს გაზიდულია: ბაქოდან ასტრახანში 2,645,778 ფუთი შავი ნავთი, ბაქოდან ენზელში 30,694 ფ რაკუშიდან ასტრახანში—375,000 ფ. შავი ნავთი. პეტროვსკიდან გროზნას პარაფინის ნავთი ასტრახანში 239,978 ფუთი. პეტროვსკიდან ბაქოში—108,926 ფ. კრასნოვოდსკში—75,979 ფუთი.

სომხეთი

ელექტროფიკაცია.

გორისი. 18 სექტემბერი. გორისში ელექტრო-სადგურს აგებენ. წინასწარი სამუშაო დამთავრებულია.

ლტოლვილთა მოწყობა.

ეჩმიაძინი. 18 სექტემბერი. ეჩმიაძინში ჩამოსულ 186 ლტოლვილს სამოსახლოდ ეძლევა მიწები სოფ. შაგრიარში, ნორმის თანახმად და აგრეთვე საალმშენებლო მასალაც.

კოოპერაცია.

გორისი. 18 სექტემბერი. ზანგეზურში განზრახულია რამდენიმე ახალ საკოოპერაციო დუქნის გახსნა.

საურთიერთო დახმარების კომიტეტები

ახალ-ბაიაზეთი. 17 სექტემბერი. სექტემბრის 10 ს ახალ-ბაიაზეთის მაზრაში ახალი არჩევნები დაიწყო საურთიერთო დახმარების კომიტეტებისა. სექტემბრის 15-ს მოხდა სამაზრო ყრილობა, რომელმაც უმთავრესი ყურადღება მიაქცია სასოფლო კომიტეტების შემადგენლობის გაძლიერებას

თევზაობის სეზონი.

ახალ-ბაიაზეთი 17 სექტემბერი. სექტემბრის 15-ს დაიწყო თევზაობის სეზონი სევანის ტბაზე პროფკავშირის წარმომადგენლები და მწარმოებლები ხელფასის განაკვეთს იმუშავებენ თევზაობის მრეწველობის მუშებისათვის

ბულდაშის არხის შეკეთება.

გუმბარი 17 სექტემბერი. გუმბრის მაზრაში შეუდგენ ბულდაშის არხის შეკეთებას.

ახალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

კარაკლისი. 17 სექტემბერი. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, კარაკლისში იხსნება სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

ახალი სამკურნალო პუნქტი.

გუმბრი. 17 სექტემბერი. გუმბრის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, უზამში არსდება სამკურნალო პუნქტი.

მეფუტკრეობა ვითარდება.

გუმბრი. 17 სექტემბერი. გუმბრის მაზრაში ორს ადგილას არსდება საფუტკრე, ორას-ორასი სკით.

მასწავლებელთა ყრილობა.

ჯალალ-ოღლი. 17 სექტემბერი. ლორის მაზრაში მასწავლებელთა ყრილობას იწვევენ.

სკოლების შეკეთება.

ვორონცოვკა. 17 სექტემბერი, ვორონცოვკის სკოლის შეკეთება დაიწყო

ქალაქის საბჭოს პლენუმი

17 სექტემბრის სხდომა

სხდომა გაიხსნა საღამოს 7 საათზე ამხ. სვიმონ ღლონტის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში იყო: 1) განათლების განყოფილების გამგის ამხ. ქაცარავას მოხსენება, 2) ქალაქის აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობა, 3) მიმდინარე საკითხები.

სწავლა-განათლების საკითხი.

ამხ ქაცარავამ მოკლეთ დაახასიათა განათ განყოფ. წარსული მუშაობა ორი მიმართულებით სწარმოებდა, მუშაობა მოზარდთა ერთი მხრივ, და მეორე მხრივ მოზრდილთა შორის, მუშაობა მოზარდ შორის სწარმოებდა საბავშვო ბაღებსა, სახლებსა და შრომის სკოლებში. მომხსენებელი ვრცლად შეეხო განყოფილების საზაფხულო მუშაობას. ზაფხულში მთავარი ყურადღება ექცეოდა საბავშვო სახლებს. 755 ბავშვი გაგზავნილი იქნა კოჯორში საგარაკო სახლებში განყოფილება უსახსრობის გამო იძულებული გახდა თავის მზრუნველობის ქვეშ აყვანილ ბავშვთა რიცხვი შეემცირებია. ბავშვები, რომელთაც პატრონები აღმოუჩნდათ სახლებიდან განთავისუფლებულ იქნენ. განყოფილებამ მოახდინა აგრეთვე ბავშვების განაწილება ჰასაკის მიხედვით ორ ჯგუფად: სასკოლო ჰასაკის ბავშვები მოთავსებულ იქნენ ცალკე, ხოლო ბავშვების სასკოლო ჰასაკამდე ცალკე, გამოყოფილი აგრეთვე ბავშვები, რომელნიც გადამდები სენის ავადმყოფობით იყვნენ დაავადებულნი. მოხდა გამოცალკევება მორალურად დეფექტიური ბავშვებისა; მათთვის საჭირო იყო განსაკუთრებული პირობების შექმნა.

შრომის სკოლები.

შემდეგ მომხსენებელი გადადის შრომის სკოლებზე, რომლის ძირითადი რეფორმაც ამ სამოსწავლო წლისათვის უნდა მოხდეს. რეფორმის მიხედვით იქნება ორი კატეგორიის შრომის სკოლა: შვიდწლიანი და ცხრა-წლიანი კურსით. პირველი ტიპის სკოლა მისცემს ბავშვს სრულს დამთავრებულს ცოდნას, ხოლო მეორეში ახალგაზრდა მიიღებს საშუალო ტეხნიკურს ცოდნას, რომელიც საკმაო იქნება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, ჰუმანიტარული ტეხნიკუმები იხურებიან. სკოლის ახალი რეფორმა ჰქმნის სასკოლო შენობების დიდს კრიზისს. წრეულს უნდა გაეთავებია 52 ჯგუფს, რომელიც ახალი ცვლილებების გამო ისევ სასწავლებლებში რჩება. სასწავლებლების შენობებში მრავალი კერძო ბინაა, რაც კრიზისს უფრო ამწვავებს. განსაკუთრებულ დეკრეტით სასწავლებლები ყველა კერძო პირთაგან განთავისუფლებული იქნება.

პედაგოგიური პერსონალი.

მომხსენებელი შეეხო პედაგოგიურ პერსონალის საკითხსაც. გადარჩეულ იქნენ სკოლის გამგეები, ზაფხულზე გახსნილი იყო კურსები, რომელზედაც მასწავლებლების საგრძნობი ნაწილი დადიოდა და ახალ პედაგოგიურ პრინციპებს ეცნობოდა; სამოსწავლო წლის დასაწყისს მოწვეულ იქნება გამგეების კონფერენცია, სადაც საერთო ძალით ახალი პედ. პრინციპების მიხედვით შემუშავდება ახალი პროგრამები. შექმნილია წიგნები სამოწაფეო და სამასწავლებლო ბიბლიოთეკებისთვის, სადაც უმთავრესად თავმოყრილი იქნება პედაგოგიური შინაარსის ლიტერატურა. მაზრაში იხსნება 11 სამკითხველო ბიბლიოთეკა, ხოლო ქალაქში 6.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა განათლების მდგომარეობაზე სოფლად, სადაც გლეხი მეტად გულგრილად ეკიდება სწავლის საქმეს პედაგოგიურ პერსონალიც ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, რადგან, რაკი მთავრობიდან ქონებრივად უზრუნველყოფილი არ იყო, ოჯახურ მეურნეობას უფრო ეწეოდა, ვიდრე განათლების დარგში მუშაობას, ამიერიდან მასწავლებელთათვის ჯამაგირის გადიდებით ეს მდგომარეობა ისპობა.

სამეურნეო—ფინანსიური მხარე

ხანგრძლივმა უპატრონობამ და სამოქალაქო ომით გამოწვეულმა შედეგებმა დაანგრია და გააფუჭა სასკოლო შენობები და ავეჯი. წრეულს შეუდექით სასწავლებლების შეკეთებას, რისთვისაც საკმაო თანხა იქნა გადადებული: დამზადდა 10000 პარტა ბავშვებისათვის, სხვადასხვა სასკოლო სამეურნეო საჭიროებისათვის გადადებულ იქნა 5000 ჩერვონცის მანეთი, 9 მაისამდე პედაგოგიურ პერსონალის შენახვა სახ. გან. განყ. დან გადადის აღმასკომზე, რაც მის ხარჯებს აორკეცებს.

უკვე დამზადდა და მზადდება შეშა სკოლებისათვის.

სკოლის გარეშე განათლება.

დღემდე გარკვეული არ იყო ვის მოვალეობას შეადგენდა პოლიტგანათლების დარგში მუშაობა—სახელმწიფო, თუ პარტიული დაწესებულებების. მიუხედავად ამისა მუშაობა ამ დარგში მაინც სწარმოებდა, თუმცა სოფლად სკოლის გარეშე განათლებას მოზრდილნი გულგრილად ხვდებოდენ.

პოლიტ-განათლება ორ სექციათ არის დაყოფილი: სასკოლო—სექცია და სკოლის გარეშე სექცია ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით მოქმედებენ ბიბლიოთეკები, თეატრები, კლუბები და სხვ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მომავალ გეგმებს ამ დარგში და გამოსთქვამს იმედს, რომ მომავალში მუშაობა უფრო გაცხოველდება.

კამათი.

მოხსენების დასასრულს გაიმართა კამათი, რომლის დროსაც ამხ ნაგები აღნიშნავენ დეფექტებს და ნაკლს წარსულს მუშაობაში და მიუთითებენ განყოფილებას ახალ ღონისძიებაზე განათლების საქმის წარმატებით წასამართავად.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც განათლების განყოფილების მუშაობას იწონებს, მოხსენება ქალაქის აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, დაგვიანების გამო გადაიდო შემდეგ სხდომისათვის.

უკანასკნელად საბჭომ დაამტკიცა საბჭოს ახალი წევრები, რომელნიც გამოგზავნილ იქნენ სხვადასხვა ულიერსი საქმიელის გამო ამომრჩეველთაგან გაწვეულ დეპუტატების ნაცვლად.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(19 სექტემბერი).

ჩერვონცები — — — 47,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ 44,100
„ ჩეკები — 42,700
დოლარები ეფექტ. — 9,600
„ ჩეკები 9,050
ო. მ. ქალ. ლირა 6.200
საბჭ. ფულის ნიშნები 16

ბირჟის მიწოდება

(19 სექტემბერს).

რუსული ფხვნილი შაქარი, მაკარონი და ვერმიშელი, მატყლი, სალებავები, ფეხსაცმელი, ბოთლები, კაუსტიური სოდა, საპონი „პეტუხ“.

ბირჟის მოთხოვნილება.

(19 სექტემბერი).

შეშა, გოგირდი „ბუდა“, რუსული მანიფაქტურა, ყუბანის ხორბალი, ქერი, ერბო, ცემენტი.

ოფიციალური გარიგებანი

(19 სექტემბერი)

კაუსტიური სოდა ფუთი 5 მან. ჩერ, ნახჩევანის ქვა მარილი ფუთი 1 მან 30 კაპ ინგლისური „ნეკტორ“ ფუთი 105 ოსმ. ქალ. ლირა.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(19 სექტემბერი)

მცენარეულობის და ტეხნიკური ცხიმ ს ბაზარზე განწყობილება სუსტია. დანარჩენ ბაზრებზე ცვლილება არ არის.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

18 სექტემბერს მოხდა 20 გარიგება საერთოდ 34442,91 ჩერ. მანეთის რაოდენობის.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(19 სექტემბერი.)

ვალიუტა ნელ-ნელა მაღლა იწევს. დიდი მოთხოვნილებაა ჩერვონეცზე დანარჩენ ვალიუტაზე მოთხოვნილება ნაკლებია. საბჭოთა ფულის ნიშნებს ემჩნევა ცოტაოდენი დაცემა.

მუშკოოპის ფასები.

(19 სექტემბერი).

(ჩერვონეცის კურსი — 46,750 ათ)

პური 2 ხარ. გირ. — 180.
ფხვნილი შაქარი — 2015 ათ.
შაქარი — რაფ. — 2480
ბრინჯი — — 470
ძროხის ხორცი — 1000
ცხვრის ხორცი — 1400

ტფილისის ბაზრის ფასები.

(19 სექტემბერი.)

პური 1 ხარ. — 400 ათ.
პური 2 ხარ. —-250—300.
ფხვნილი შაქარი — 2200.
შაქარი რაფინადი—2,650.
ბრინჯი 650 ათ.
ძროხის ხორცი—1100 ათ.
ცხვრის ხორცი—1500 ათ.

კოოპერაცია

ცეკავშირის მუშაობა

აბრეშუმის პარკის მონოპოლიის გატარებასთან ერთად, ცეკავშირი შეუდგა შემდეგ ოპერაციებს:

შეკეთებულ იქნა და ამუშავდა მექანიკური გასახმობი მანქანა, რომელიც 1917 წლიდან გაჩერებული იყო.

ეს მანქანა ამუშავებს 500 ფუთ დამზადებულ საქონელს დღე-ღამის განმავლობაში, რაც 4-ჯერ ამცირებს გახმობის პროცესს და აჩქარებს კაპიტალის ტრიალს.

უცხოეთის ბაზარზე აბრეშუმის პარკის ღირებულების ასაწევად ცეკავშირი არჩევს გაფუჭებულ პარკს „ჩხარს“, „ხავსმოკიდებულს“ და „ორმაგს“ (ორი ჭიით). ასეთ პარკს ცეკავშირი სტოვებს ამოსახვევად სამტრედიაში, სადაც ამუშავებულია გაჩერებული აბრეშუმის სართავი ფაბრიკა.

ამჟამად ფაბრიკას აქვს სამუშაო მასალა 1923 წლის დამლევამდე.

პარკის გამხმობი და ამოსახვევი მანქანები ელექტრონის საშუალებით მოქმედებენ.

მომავალ წლისათვის განზრახულია გაუმჯობესებულ მანქანების გამოწერა. ამასთან ერთად სწარმოებს მუშაობა ადგილობრივ აბრეშუმის თესლის დამზადების განვითარების მიზნით, რათა მწარმოებელნი განთავისუფლებულნი იქნან საზღვარგარეთზე დამოკიდებულებისაგან.

აბრეშუმის პარკის ოპერაციის სარგებლიდან გადარიცხვამ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასარგებლოთ ადგილობრივ აბრეშუმის თესლის დამზადების განსავითარებლად, საშუალება მოგვცა საზღვარ გარეთ შეგვეკვეთა 1924 წლისათვის, მხოლოდ 75,000 კოლოფი, დანარჩენი 25,000 კოლოფი კი ადგილობრივ მზადდება.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

თხილისა და ბამბის დამზადება. სახალხო სასურსათო კომისარიატს განზრახული აქვს წელს დასავლეთ საქართველოში თხილი და დაუმუშავებელი ბამბა დაამზადოს. თხილის დამზადება განზრახულია 10,000 ფუთის რაოდენობით, ხოლო ბამბისა—20 ფ. ეს საქონელი დამზადებული იქნება როგორც საქონლის გაცვლის საფუძველზე, ისე ნაღდ ფულზე შესყიდვით.

შეშა მუშა-მოსამსახურეთათვის. სახალხო სასურსათო კომისარიატი, თანახმად ადგილკომის შუამდგომლობისა, უკვე შეუდგა თადარიგს ამ კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებისთვის შეშის დამზადებას. შეშა მიეცემათ შეღავათიან პირობებში და იმავე ნორმით, როგორც შარშან.

ფართლეული მუშა-მოსამსახურეთათვის. ადგილკომი შუამდგომლობს, რათა სახალხო სასურსათო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთ საფეიქრო სინდიკატიდან ფართლეული დაეთმოთ ხელმისაწვდენ ფასებში და შეღავათიან პირობებში.

საფეიქრო ქარხანა. სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მადლობა გამოეცხადოს ამ კომისარიატის საფეიქრო ქარხნის გამგე ამხ. ს. ჩომახიძეს ამ ქარხნის კარგად დაყენებისა და წარმოებისათვის. ამას გარდა პრინციპიალურად საჭიროდ სცნო ქარხნის გადიდება, გაფართოება და გაუმჯობესება.

ავიაციის განვითარებისათვის. სახალხო სასურსათო კომისარიატი წევრად ჩაეწერა ამიერ-კავკასიის სამოქალაქო საავიაციო სააქციონერო საზოგადოებაში და შეიძინა 3,000 მან. ჩერვონცებათ ღირებული 300 პაი.

ბზის დამზადება სახალხო სასურსათო კომისარიატი წელს გორის მაზრაში ამზადებს 120,000 ფუთს ბზეს გორისა და გომის კოოპერატივთა კავშირების საშუალებით.

ქართულ ენის კურსები. სახალხო სასურსათო კომისარიატის ადგილკომის თაოსნობით ამ კომისარიატში ქართულ ენის კურსები გაიხსნა. კურსებზე მასწავლებლად მოწვეულია ამხ. პილაძე.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში

დამხმარე კომიტეტები გურიაში.

ცნობა ოზურგეთის მაზრიდან.

ოზურგეთის მაზრაში მოეწყო საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტები; შეშის დასამუშავებლად მაზრაში დაარსდა გლეხთა არტელი, ინვალიდების სოციალურ უზრუნველყოფის საქმის მოსაგვარებლად აქ მოეწყო საექსპერტო ბიურო, ჯერ-ჯერობით მაზრაში შემოწმდნენ 61 ინვალიდი. ამათგან დახმარება აღმოუჩინეს 47 კაცს. უმთავრესათ მაზრაში დახმარება მიიღეს წითელ-არმიელების დედებმა, და ომში დახოცილ მეომრების ქვრივებმა

საფეიქრო მოსაწყობათ—სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დუშეთის მაზრაში ქალთა საფეიქრო სახელოსნოს მოსაწყობათ ქალთა ცენტრალურ კომიტეტის დუშეთის მაზრის განყოფილებას გადასცა 351.550.000 მანეთი.

კომიტეტების მუშაობა: ზუგდიდის მაზრის ოც თემში უკვე დაარსდა და მოეწყო საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტები. დაარსდა ფონდი, შემოვიდა 170,175,000 მან. დახმარება გაეწია 11 კაცს.

სენაკის მაზრაში საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების მოსაწყობათ შესდგა კომისია. კომისია შეუდგა საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების და ხელოსანთა თვითშრომელთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების მოწყობას.

რაჭის მაზრაში მოეწყო გლეხთა 28 კომიტეტი; გაჭირვებულთა აღრიცხვიდან გამოირკვა, რომ ზემოაღნიშნულ მაზრაში საჭიროებს დახმარება 3,329 ოჯახი.

დადგენილება: ს. ს. ს. რ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაადგინა გამოსცეს ჟურნალი (ორთვიური), რომელშიც დაიბეჭდება ყველა განკარგულებები, ბრძანებანი და დადგენილებები კომისარიატის; ყოველგვარი მასალები და ინსტრუქციები საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების მოსაწყობათ; ჟურნალში იქნება აგრეთვე მოთავსებული საზოგადო ხასიათის წერილები მუშათა გლეხთა და შრომის და ომის ინვალიდთა ცხოვრებიდან.

დანიშვნა ტფილისის მაზრაში საურთიერთო დამხმარე გლეხთა მოსაწყობათ ს. ს ს. რ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებით დაინიშნა ამხ. პართენ ჩიქოვანი.

153

„ახალგაზრდა მარქსისტების“ დაშლა

მოწოდება

ტფილისის მე-2 რაიონის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტებისადმი

ამხანაგებო!

ისტორიულად არ გვეპატიება გულ-ხელდაკრეფილი ვიყვეთ და წინასწარი ტენდენციებით დაბრმავებული შევხვდეთ მიმდინარე ისტორიულ გადაფასებას. პროლეტარული ახალგაზრდობის რიგების გამაგრების პროცესის დასაწყისი უდაო ისტორიული ფაქტია, რომელსაც ტფილისის 2-რე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტებმაც უნდა შეუერთონ თავისი ხმა. გზა დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ, რომელსაც ადგნენ ჩვენი ორგანიზაციები, ისტორიულად არ გამართლდა. მარქსისტთა ორგანიზაციები, როგორც ამას ზოგიერთები გაიძახიან, არ იყვნენ პოლიტიკური ორგანიზაციები, რადგან ასეთი ორგანიზაციების არსებობა ისტორიულად გაუმართლებელი და შეუძლებელია. იმ დეფექტებში, რომელიც დაუშვა საქ. სოც.-დემოკ. მუშათა პარტიამ, [illegible] ჩვენს ორგანიზაციებს ეკუთვნის.

დროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ გაუკეთრობას. დეე, ყველამ შეიგნოს ერთხელ და სამუდამოდ, რომ ფანატიკურად აზროვნება არ შეესაბამება რევოლიუციონურ ახალგაზრდობას.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ ამხანაგებო, ჩვენი შეცდომები ჩვენვე გამოვასწოროთ და მით გამოვისყიდოთ ჩვენი დანაშაული პროლეტარული ახალგაზრდობის წინაშე და ახალგაზრდობის კომკავშირიდან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული ვითანამშრომლოთ საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად და რევოლიუციის გასამარჯვებლად.

მეორე რაიონის ყოფ. ახ. მარ. ორ. კონფერენციის მომწვევ საინიციატივო ბიურო.

შ. სანაძე, ვ. კაპანაძე, ა. პატარაია, მელქაძე, მ. გიორგაძე და ვ. ზარამიძე.

მოწოდება

ხაშურის რაიონის ყველა ახალგაზრდა „ხსიველების“ ორგანიზაციის წევრებისადმი

ამხანაგებო! ხუთ წელიწად ნახევრის პრაქტიკამ რუსეთში დაგვანახვა, რომ ერთად ერთი ხსნა მუშათა კლასისა არის პროლეტარიატის დიქტატურა.

ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მუშათა კლასმა შესძლო თავის ზურგზე გადაეტანა ის ცეცხლი, რომელიც დაანთო შინაურმა და გარეშე კონტრ-რევოლიუციამ. არც ერთ სახელმწიფოს არ ახსოვს ისეთი მძიმე მდგომარეობა, რომელიც განიცადა რუსეთმა ამ ხუთი წლის განმავლობაში აქ აღსანიშნავია ის მძიმე ნების-ყოფა, რომელიც გამოიჩინა რუსეთის პროლეტარიატმა. მან შესძლო შეექმნა წითელი ლაშქარი, რომელითაც დაამხო ყველა კონტრ-რევოლიუციონური ბრბოები, მან შესძლო ფეხზე დაეყენებია თითქმის მიწასთან გასწორებული წარმოება და მეურნეობა; ის ეწევა მშვიდობიან საბჭოთა აღმშენებლობას. 8 საათის სამუშაო დღე, მუშათა სასწავლებლები, მიწის რეფორმა და ბევრი სხვა გატარებულია ცხოვრებაში. აგრეთვე საუცხოვოდ გადასჭრა ნაციონალური საკითხი მუშათა კლასის ხელმძღვანელმა, რ. კომუნისტურმა პარტიამ თავის მეთორმეტე ყრილობაზე. გადახედეთ ოსეთს, რომელსაც მენშევიკური მთავრობა სისხლში აღრჩობდა, არის თუ არა ის ავტონომიური დღეს?—არის. გადახედეთ აფხაზეთს, აჭარას და სხვებს. ყველა ამ მხრივ კმაყოფილია.

ავიღოთ საერთოდ საქართველო. აქვს თუ არა დღეს მას საკუთარი სახელმწიფო ენა, ნაციონალური კულტურა, არის თუ არა ნაციონალური შუღლი მეზობელ ერთა შორის. ვერც ერთი ამ კითხვაში თქვენ უარყოფით პასუხს ვერ გასცემთ.

ყველა ესენი თავის რიგზეა: ენა და კულტურა დღეს უფრო ყვავის, ვიდრე ოდესმე, საქართველოში დღეს კეთდება ყველაფერი, ფეხზე დგება მრეწველობა და მეურნეობა. მესამე წელია, რაც საქართველოს მშრომელმა ახალგაზრდობამ მოისვენა, აღარ იღვრის მუშათა უმანკო სისხლი. დღეს ამოისუნთქა თავისუფლად საქართველომ. თუ ახალგაზრდობა შეადგენს ნამდვილ მუშურ ელემენტს, ის აუცილებლად თავის ბანაკს მიაგნებს. ეს ბანაკია კომუნისტური კავშირი, რომელიც ნამდვილ რევოლიუციონურ ორგანიზაციას წარმოადგენს და რომელიც მტკიცე დარაჯია რევოლიუციის მონაპოვარისა

ხსნა მუშათა ახალგაზრდობისა, რომელსაც ეკუთვნის მომავალი, შეიძლება მხოლოდ კომუნისტური კავშირის განმტკიცებით.

ჩვენი ვალია ამხანაგებო ხელი შეუწყოთ და დავაგვირგვინოთ ერთხელვე დაწყებული დიდი საქმე.

ხაშურის რაიონის ყოფილ „ხსიველთა“ საინიციატივო ბიურო: დ. თევზაძე. პ. მარიამიძე, ზ. ბითაძე, ვ. გვარამიძე. პრ. ნანეჭაძე.

თბილისის პირველი რაიონის ახ. მარ. ორგანიზაციის კონფერენცია

ტფილისის პირველი რაიონის ახ. მარ. ორგანიზაციის კონფერენცია მოწვეულია 21 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე კონფერენცია გაიხსნება ნაძალადევის თეატრში.

დღის წესრიგი:

1. პარლამენტარიზმი და პროლეტარიატის დიქტატურა—მომხ. **ა. ცინცაძე.**
2. ეროვნული საკითხი—მომხსენებელი **გ. გიორგაძე.**
3. მიმდინარე საკითხები.
4. დეკლარაცია.

საინიციატივო ბიურო.

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში.

დახმარება უმუშევრებს.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირმა გადასწყვიტა ამიერიდან პერიოდულად მისცეს დახმარება უმუშევრებს; 15 მილიონი უცოლშვილოს, და 5 მილიონი უმუშევარის ოჯახის თვითეულ წევრს.

კავშირის წევრთა შვილების კონსერვატორიაში გაგზავნა.

კომუნალურ მეურნ. კავ-მა პრ. კავ. საბ. დადგენილების თანახმად, გადასწყვიტა კავშირის წევრთა შვილები კონსერვატორიაში გაგზავნოს.

საბინაო საკითხის მოგვარება.

კომ. მეურ. კავ-მა მიიღო ზომები საბინაო საკითხის მოსაგვარებლად, ამ მიზნით კავშირმა წინადადებით მიმართა კავშირის სატარიფო-საეკონომიო განყოფილებას, რომ სამეურნეო ორგანიზაციიდან კოლექტიურ ხელშეკრულების დროს ერთ-ერთ პირობად მუშათა სახლის ასაგებად განსაზღვრული პროცენტული ანარიცხები შეიტანონ.

მკერავთა კავშირში.

პროფტეხნიკური სკოლა კომუნისტ ახალგაზრდებისთვის.

კავშირმა გადასწყვიტა კომუნისტ ახალგაზრდებისათვის მიმდინარე წლის სექტემბრიდან გახსნას პროფ-ტეხნიკური სკოლა. წინასწარი საორგანიზაციო მუშაობის საწარმოებლად არჩეულია ბიურო შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ცხაკაია, მახარაძე, ადამიძე და გრიგორაძე ქალთა განყოფილებიდან ერთი წარმომადგენელია მოწვევის უფლებით.

დახმარება იაპონიაში დაზარალებულთ.

საქ პროფ კავშირების ადგილკომები და ფაბკომები, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში დიდი გულმხურვალებით შეუდგნენ იაპონიაში დაზარალებულთა დახმარებას. ყოველდღიურად მოდის აუარება ცნობები დახმარების აღმოჩენის შესახებ. საქ. პროფ საბჭოს ადგილკომს და საბჭოთა მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას დაევალა შემოწირულების შეკრება. კომ. მეურნ. ცენტრალურმა გამგეობამ გადასდო უმუ-

შევართა ფონდიდან 25 საქონლის მანეთი დაზარალებულთა სასარგებლოდ. მანვე დაადგინა ამავე საკითხის მოსაგვარებლად მოიწვიოს ადგილკომების კონფერენცია.

გემო-კვების კავშირმა ცირკულიარულად აცნობა ყველა საქარხნო საფაბრიკო კომიტეტებს და სამაზრო განყოფილებებს აწარმოონ წრეებში ნებაყოფლობით შემოწირულების შეკრება იაპონიაში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

შემოწირულება სომხეთის საჰაერო ფლოტს.

სომხეთის პროფ. კავ. საბჭოს გამოწვევის საპასუხოდ საქ. პროფ. კავ. საბ. და საბჭოთა მუშაკების კავშირის ადგილკომებმა 13 სექტემბრის საერთო კრებაზე დაადგინეს ჯამაგირების ნახევარ პროცენტიანი ანარიცხებიდან 30 პროცენტი გადასდონ სომხეთის საჰაერო ფლოტისათვის, ხოლო დანარჩენი 70 პროცენტი შეიტანონ ჰაეროპლან „საქართველოს პროფკავშირების" ამგებ ფონდში.

წითელ ჯარში

პარტ-პოლიტ-მუშაობა 3 დივიზიონში.

აგვისტოს თვის განმავლობაში ასეულებსა და ჯგუფებში ჩატარებულია 22 პოლიტ. საათი. პოლიტ საათს ესწრებოდა 90 პროც. წითელ არმიელებისა. პოლიტ საათი ჩატარებულია შემდეგ თემებზე: 1) ამიერ-კავკასია ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. 2. ამიერ-კავკასიის სოციალისტურ-ფედერატიული რესპუბლიკა. 3. ადმინისტრატიული აღმშენებლობა წითელ-არმიისა, 4 ცალკე კავკასიის არმიის შემადგენლობა, 5 წითელი ფიცი. 6 მეფის ფიცი და წითელი ფიცი. 7. წითელი დროშა და წითელი ვარსკვლავი 8. ცალკე კავკასიის არმიის ისტორია 9. მიწის კანონი (სამ საუბრათ), ა) მიწის კანონი მეფისა და მემამულების დროს, ბ) მიწის კანონი მენშევიკების დროს. გ) მიწის კოდექსი საბჭოთა წესწყობილების დროს. 10. გაზეთ „წითელ-არმიელის" დახმარება. 11. ცალკე კავკასიის ხუთი წლის თავი. 12 მეთაურ-შემადგენლობა და სამხედრო პოლიტიკური კურსები და 13 ექვსი საუბრის გამსინჯველი კითხვების საშუალებით განმეორება და წინეთ გავლილ მასალისა.

მეცადინეობა პოლიტ და მეთაურ შემადგენლობით.

მეცადინეობა მეთაურ პოლიტ-შემადგენლობასთან სწარმოებს თანახმად პროგრამისა, რომელიც გადმოგზავნილია პოლიტ-განყოფილების მიერ. დასწრება უდრის 90 პროც. დაყოფილია ჯგუფებათ. საშუალო მეთაურ შემადგენლობა მეცადინეობს თავისით სათანადო მასალის მითითებით. უმცროს მეთაურ-შემადგენლობასთან კი იკითხება მოხსენებები 30-40 წუთის განმავლობაში. მოხსენებას აკეთებს სამხედრო კომისარი, ან მისი თანაშემწე, მოხსენების შემდეგ იძლევა შეკითხვები, რაზედაც ღებულობენ სათანადო პასუხებ.

ნ.

დაუშვებელი საქციელი

სამშაბათს, 18 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საბჭოთა მუშაკების პროფკავშირების კულტ-განყოფილების ინიციატივით მოწვეულ იქმნა ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, იუსტიციის კომისარიატების და საქალაქო სამმართველოს თანამშრომელთა კრება. მოხსენება უნდა გაეკეთებინა სამმართველოს სამეცნიერო ორგანიზაციის თემაზე „Рабочая Правда"-ს რედაქციის მდივანს ამხ. **ავენირს**. დღის წესრიგში დასმული საკითხი იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ კავშირის წევრები ნახევარი საათით ადრე მოვიდნენ კრებაზე იმისათვის, რომ კარგათ მოესმინათ მოხსენების მნიშვნელობა. შვიდის ნახევარია, მომხსენებელი არ არის... აუდიტორია აღელვებულია, გულნაკლულად შემოგვჩივიან: სად არის მომხსენებელი, ჩვენ ძრიად გვაინტერესებს ეს საკითხი და ამიტომაც აგრე ადრე მოვედითო. მე ვამშვიდებ აუდიტორიას—მოითმინეთ ცოტა და მომხსენებელი მოვა, გათავდა შვიდი საათი, მომხსენებელი არ არის, აუდიტორია ღელავს და უკმაყოფილებას გამოსთქვამს მომხსენებელის ასეთი საქციელზე.

როგორც გამოირკვა, კულტ-განყოფილების გამგეს ამხ. ტერ აკოპვს პირადი მოლაპარაკება ჰქონია ამხ. ავენირთან და უთხოვნია, რომ თავის დროზე გამოცხადებულიყო საერთო კრებაზე, გარდა ამისა კავშირს ოფიციალურად მიუმართავს 17|9 № 8303 თარიღით. მიუხედავად ყველა ამ ფორმალური მხარეებისა, მომხსენებელმა მაინც არ იკადრა მობრძანება და 300-ზე მეტი კავშირის წევრი უცდიდა მომხსენებელს სა თნახევრის განმავლობაში და შემდეგ, რომ ყოველივე იმედი დაიკარგა, რომ მომხსენებელი აღარ მოვიდოდა, აუდიტორია ძალზე უსიამოვნო და აღელვებული დაიშალა. ჩვენ, მუშა-მოსამსახურენი ვაცხადებთ, რომ ასეთი საქციელი დაუშვებელია. *)

ქ. ორმეთელი.

---

*) ზემოთ აღნიშნულ სამწუხარო გაუგებრობის გამო, რომელსაც მართლა ჰქონდა ადგილი, მე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს განუმარტო ამხანაგებს შემდეგი:

მე რომ მოხსენება უნდა გამეკეთებია,-ეს ვიცოდი, თავის დროზე სიამოვნებითაც დავთანხმდი ამაზე და მოვემზადე კიდევაც მისთვის. მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ღრმად დარწმუნებული ვიყავი, რომ მოხსენება უნდა დაწყებულიყო არა ექვს საათზე, არამედ შვიდზე და ამ დროს კიდევაც მივედი დანიშნულ ადგილზე. ამ ჩემ უნებლიე და სამწუხარო შეცდომას ახლა მხოლოდ იმითი ვხსნი, რომ ჩვეულებრივ მე სარედაქციო მუშაობას ვათავებ ექვს საათზე და ალბათ ამან შემიყვანა შეცდომაში, რადგან მთელი დღის მუშაობის შემდეგ შეუწყვეტლათ მისი გაგრძელება ჩვეულებრივ ძნელია გასაგები დაღლილობის გამო. მე გულწრფელად ვწუხვარ იმაზე, რაც მოხდა და გამოვთქვამ რწმენას, რომ ამხანაგები მიიღებენ მხედველობაში ზემოთქმულს.

ლ. ავენირი.

ქრონიკა

უქმე დღე. ბაქოს 26 კომუნარის დაღუპვის 5 წლის აღსანიშნავად, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ 1923 წ. სექტემბრის 20 აღიარებულია გლოვის დღეთ და ამ დღეს ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო წარმოება დაწესებულებებს ევალებათ განთავისუფლონ მუშა მოსამსახურენი სამუშაოდან.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა მიქაძე.

საერთო საორგან. განყოფ. გამგის მაგიერ ა. თუშიძე.

— **ჰიდრო-ელექტრონის სადგური ახალციხეში.** საქსახკომსაბჭომ ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: დღეს ბრწყინვალეთ ჩაიყარა საფუძველი ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სათავის შლიუზისა. მუშებისა და გლეხების სახელით ვულოცავ შრომის ფრონტის ხელმძღვანელებს ახალ გამარჯვებას. აღმასკომის თავმჯდომარე ხუნდაძე; რწმუნებული გალინსკი.

— **მუშათა სასახლის შეკეთება.** პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა უარყოფილი იქნეს „არაზინდოს" ფონდიდან მუშათა სასახლის შეკეთება. სასახლე შეკეთებული იქნება პროფკავშირების საშუალებით.

— **ქუთაისის სამაზ. პროფბიურო.** წინადადება მიეცეს ქუთაისის სამაზრო პროფბიუროს თავის მიმდინარე ხარჯთ აღრიცხვა წარუდგინოს ადგილობრივ აღმასკომს დასაკმაყოფილებლად.

— **შრომის ბირჟის გამგის დანიშვნა.** პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შრომის ბირჟის გამგეთ დაინიშნა ამხანაგი დ. რეხაძე.

— **საზოგადო სამუშაოს მოწყობა უმუშევრებისათვის.** უმუშევრებისათვის საზოგადო სამუშაოს მოსაწყობათ საქართველოში და სხვაგან, შესდგა განსაკუთრებული კომისია პროფკავშირის საბჭოს წარმომადგენლის—ამხ. ელიბაქიანის, შაროვის, სახ კომისარიატის—ამხ მიქაძის და ქალაქის აღმასკომის წარმომადგენლის—ამხ. ასრიევის შემადგენლობით.

— **სიღნაღის შრომის ინსპექტორის შესახებ.** პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, სიღნაღის შრომის ინსპექტორი მოხსნილი იქნა ადგილიდან, ხოლო მისი მოვალეობის ასრულება დაეკისრა ადგილობრივი დამზღვევ კასის თავმჯდომარეს.

— **სახალხო მოსამართლეთა საბჭოს გაუქმება.** თანახმად სრულიად საქ. ცაკის მე-4 სესიის დადგენილებისა, საქ. სახალხო მოსამართლეთა საბჭო გაუქმებულია ამა წლის 16 სექტემბრიდან. ამა დღისათვის საბჭოში მყოფი საქმეები გადაცემული იქნება ტფილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოებში კუთვნილებისამებრ. 16 სექტემბრის ცნობები და ნარკვევები საქმეების შესახებ საბჭოდგან (მისი გაუქმების გამო) არავის არ მიეცემა.

— **კომუნალურ მეურნეობის გამგეთა ყრილობა** სექტემბრის 25-ისათვის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეულია სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებათა გამგეების მეორე ყრილობა.

— **ხელმისაწვდომ ფასში,** გარკვეული ხელით იღებს ყოველგვარ ქართულ სალიტერატურო გადასაწერებს უმუშევარი ქალი ანნა ალავერდოვი, ელიზაბედის ქუჩა, № 97, ოთახი № 6

— **სატყეო აგარაკების აღწერა.** მიწად მოქ სახ. კომ. სატყეო განყოფილებამ დაამთავრა ტფილისის სატყეო აგარაკების აღწერა. აგრეთვე აღწერილია ჭიათურის და ქობლიანის სატყეო აგარაკები.

— **ჯიშიან ცხენების ჩამოყვანა.** ცხენთა საჯიშოების სამმართველომ მოსკოვიდან ჩამოიყვანა 23 საჯიშო ცხენი.

— **შინა-მრეწველობა.** შინა-მრეწველობის სართავმა ქარხანამ ივლისის განმავლობაში დაამუშავა 99 ფუთი შალის ნართი.

— **საბრეშუმო სადგურის მუშაობა.** საბრეშუმო სადგური აწარმოებს პეპლების მიკროსკოპულ გამოკვლევას და აბრეშუმის თესლის დამზადებას. შეკრებილია ცნობები, თუ რამდენი თესლი საჭირო მიმდინარე წელს მებრეშუმეთათვის საქართველოში.

— **ვენახის დაცვა მავნებისაგან.** მიწად მოქ. სახ. კომისარიატმა მიიღო საზღვარ-გარეთიდან 500 ცალი შუშხუნა და 20 ცალი ავტომატიური სასხურებელი რუსეთიდან.

— **პირდაპირი გადასახადი.** ივლისის განმავლობაში პირდაპირი გადასახადისაგან შემოვიდა 113,801 ჩერვონეცი.

მთელი შემოსავალი ამ თვეში უდრის 873,352 ოქროს მანეთს.

— **კოოპერატიულ ბანკის განყოფილების გახსნა.** ოქტომბრის პირველ რიცხვებში ტფილისში გაიხსნება რუსეთის კოოპერატიულ ბანკის განყოფილება.

— **სამუშაო უმუშევართათვის.** უმუშევრობასთან მებრძოლმა კომისიამ გადასწყვიტა გააგზავნოს 300 უმუშევარი სოფ. საგარეჯოს ახლო მდებარე აგარაკზე ხე-ტყის დასამუშავებლათ.

— **ჩათახის საავადმყოფო.** ჯანმრ. სახ. კომისარიატის თაოსნობით ჩათახში იხსნება საავადმყოფო ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეებისათვის 10 საწოლით. აღნიშნულ საავადმყოფოში უფროს ექიმად დაინიშნება ქირურგიულ სპეციალობის მკურნალი.

— **მოზარდ მუშების გასინჯვა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ახალგაზრდათა შრომის დაცვის განყოფილების მიერ ტარდება მოზარდ მომუშავეთა ფიზიკურ ჯანმრთელობის შემოწმება.

— **შრომის ბირჟა.** 18 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 539 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 131, გაიგზავნა სამუშაოზე 69

ხელოვნება

— **მიხეილ კავსაძის მუშათა სახალხო მომღერალთა გუნდის გამგეობა** წელსაც ხსნის სიმღერა-გალობის სკოლას (კურსებს) კვირაში ორჯერ, ოთხშაბათ პარასკეობით, საღ. 6—8 საათამდე პროფ კავშირების ბინაზედ (მუშათა სასახლეში) მე 5-თე სართულში, სადაც ყველა მუშა-მოსამსახურეს, წითელ-არმიელს, მოწაფე სტუდენტ-მასწავლებელს შეუძლიათ ისწავლონ და გაეცნონ სახალხო სიმღერებს. აქვე არსებობს დიდი ხნის გაწვრთნილი გუნდი 50 კაც. შემდგარი.

— **აისედორა დუნკანის გასტროლის გადადება.** აისედორა დუნკანის გასტროლი, რომელიც უნდა გამართულიყო დღეს 19 სექტ. ოპერის თეატრში, შესდგება ხვალ.

— **ქ. კაპანელის მოხსენება.** ახლო ხანში ქ. კაპანელი წაიკითხავს ქ. ტფილისში სახალხო მოხსენებას: „საქართველოს კულტურა და ქართული სული". მოხსენების შემდეგ დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე კ., ამაღლობელი ს. დანელია ს., კალაძე რ. კასრაძე დ. ტატიშვილი ი., ფილავა აკ. ჭუმბაძე არ.

— **პროლეტკულტის ტეხნიკუმი.** პროლეტ კულტის ტეხნიკუმთან გახსნილი იქნა ევროპიულ ენების შესასწავლი კურსები.

— **სატარიფო შეთანხმება.** 1 რაიონის სავაჭრო-სამრეწველო მუშების მიერ ტფილისის განმავლობაში 51 წარმოებასთან დადებული იქნა ახალი სატარიფო პირობები.

— **თურქული [illegible] სტუდია.** ტფილისში გაიხსნა თურქული დრამატიული სტუდია საოპერო განყოფილებებით. სწავლა უფასოა.

— **მარმარილოს ბიუსტები** ცნობილმა მოქანდაკემ ერზიამ, რომელიც შემთხვევით რამოდენიმე ხანი სცხოვრობდა ბათომში აჭარის ხელისუფლების შეკვეთით დაამზადა მარმარილოს ახალი ბიუსტები: მარქსის, ლენინის, ფ. მახარაძის, აკაკი წერეთლის, შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის.

პროვინციაში

ფოთი

4 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ფოთის რკინისგზის მუშათა კლუბში შესდგა საერთო კრება რკინის გზაზე მომუშავე ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრების. კრებაზე მოხსენება გააკეთა მათმა დელეგატმა სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობაზე, ამხ რაჟდენ ბაზიარმა. მომხსენებელი ვრცლათ შეეხო ყრილობის მუშაობას და დეტალურად განმარტა ყველა მიღებული დადგენილებები ყრილობის მიერ. მან დაახასიათა მურმანოვის გამოსვლა ყრილობაზე, როგორც არალეგალური ცეკას აგენტის.—ამან დაგვანახა—ამბობს მომხსენებელი, თუ როგორ უცქერიან დელეგატები მენშევიკების ცეკას. დელეგატებმა ერთხმათ უარყვეს მურმანოვის მიერ წამოყენებული ბრალდებები. მომხსენებელი იქნა დაჯილდოებული მხურვალე ტაშით. ბოლოს იქნა მიღებული ერთხმად რეზოლიუცია, რომელშიც ყრილობის დადგენილებებს უერთდებიან სავსებით და აღიარებენ ყრილობის მუშაობას მეტად ნაყოფიერად.

ჩვენ მუშებმა ვიპოვეთ სწორი გზა, გავახილეთ თვალები და მივდივართ სოციალიზმისკენ,—ნათქვამია რეზოლიუციაში—და ვინც ხელს შეგვიშლის ამ გზით სვლაში, ყველას წავლეკავთო. მენშევიკების ცეკამ აღარ უნდა იარსებოსო, რადგანაც პარტიის წევრები უკვე ჩამოშორდნენ მას—და ვისი სახელით უნდა ილაპარაკონ მათმაო.

პ მეგრელიშვილი

გორდის თემი (ქუთაისის მაზრა)

გორდის თემში არსებობს საბჭოთა აფთიაქი, სადაც მსახურებს ფარმაცევტი ჩიქოვანი.

ხსენებული პირი გადაყოლილია ღვინის სმაზე და მუდამ მთვრალია, მას იშვიათად ნახავთ აფთიაქში.

მოდიან წამუშევარი გლეხები წამლისათვის და ჩიქოვანს სამიკიტნოებში და სხვა სოფლებში ეძებენ, რითაც ისინი მეტის მეტად შეწუხებული არიან საჭიროა ასეთ დაუშვებელ მოვლენას ყურადღება მიაქციოს ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებამ ან და სხვა სათანადო ორგანომ. მოქ. ჩიქოვანს და მის მსგავს პირებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა სამსახურში.

ეშკაპა ხელიძე

პასუხი მოქ. დ. პეშტმალჯიანცს ღია წერილზე

(იხ. „კომუნისტი" № 213).

მიმდინარე თვის 7 ს ს. მ. უ. ს. მთავარ კონტროლიორ ალექსანდრე ჭუმბურიძესთან ბაასის დროს მე თქვენ გიწოდეთ ჯაშუში, რის გამო თქვენ მიწვევთ მე სამედიატორო სასამართლოში ჭეშმარიტების აღსადგენათ. მოქ. დ. პეშტმალჯიანცო, მე ყოვლად შეუძლებლად და თავის დამამცირებლად მიმაჩნია გამოგყვეთ თქვენ სამედიატორო სასამართლოში და თუ კი თქვენ და ალ. ჭუმბურიძესაც გსურთ დარწმუნდეთ ჩემს სიტყვებში მიმართეთ ძველს პარტიულ ამხანაგებს კოტე ცინცაძეს, ვალოდია ხუტულაშვილს, ალექსანდრე ჩიჩილაშვილს, ალექსანდრე ყორონაშვილს და სხ. და ისინი დაგარწმუნებენ რა პიროვნებაც ბრძანდებით, მოგაგონებენ თუ რა საჯაშუშო და საპროვოკაციო საქმეებს სჩადიოთ.

ამასთანავე დავსძენ, რომ თქვენისთანა პიროვნებას საბჭოთა სამსახურში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ს. მ. უ. ს. ცენ. სავ. სამმართველოს თავმჯდომარე: **ვ. არეშიძე.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 87.

ამიერ კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 11.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქონებული ავტო-მანქანებისა და ავტო-ძონების აღწერის შესახებ.

რათა დაწვრილებით გამორკვეულ იქნეს ავტო-ტრანსპორტის რაოდენობა ამიერ-კავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე და რესპუბლიკებში ავტო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, მოხდეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში აღწერა ყველა ავტო-მანქანისა, რაც სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვადასხვა უწყების განკარგულებაშია და, აგრეთვე, რაც ეკუთვნის ცალკე ორგანიზაციებს და კერძო პირთ.

2. ამიერ კავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში აღწერის წარმოება, ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობით,—დაეკისროს:

საქართველოში—საქართვ სოც. საბჭ. რესპ. ადგილობრივი ტრანსპორტის სარაიონო სამმართველოს.

აზერბეიჯანში—გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს აზერბეიჯანში.

სომხეთში (ადგილობრივი ტრან-
აჭარისტანში (სპორტის სარაიონო
აფხაზეთში (სამმართველოებს

3. ყველა ის პირი, ვინც ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა მის გამგებლობაში, ან საკუთრებად ქონებულ ავტო-მანქანას არ გაატარებს რეგისტრაციაში, მიცემულ უნდა იქნეს კანონიერ პასუხისგებაში 300 მანეთამდე დაჯარიმებით.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის ასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დროებ. ასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა პარასკევს, 21 სექტემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი შეიძლება შეიმუშავონ თვით რაიკომებმა და იაჩეიკებმა და შეიტანონ წესრიგში საკითხი იაჩეიკის წევრთა პოლიტიკური ცოდნის შემოწმების შესახებ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **ივანოვი.**

სექტემბრის 21-ს პროფკავშირის დიდს დარბაზში, საღამოს 6 საათზე მოხდება **სრულიად საქალაქო დელეგატთა კრება** ქ. ტფილისის მუშა ქალებისა სრულიად. საქართველოს ქალთა განყოფილების გამგეთა თათბირის წევრებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. მოხსენებანი დელეგატ-ქალებისა საზაფხულო მუშაობისა და ექსკურსიებში მონაწილეობის შესახებ.
2. დელეგატ ქალების ხელახალი არჩევნები.
3. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ყველა დელეგატი ქალები და ქალთა ორგანიზატორები ვალდებულნი არიან თავის დროზე გამოცხადდენ.

დასწრება შეუძლიათ არა დელეგატ მუშა-ქალებს და დიასახლისებსაც.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ს. დალნაია.

მეორე რაიკომი იტყობინება, რომ წევრთა **პოლიტცოდნის შემოწმება** დაიწყება 28 ენკენისთვეს, ერთიან პარტიულ დღეს. აღნიშნულ საკითხის გარდა წამოყენებულ უნდა იქნას საკითხი სპარტაკის შესახებ. მეორე რაიკომი

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 8-ე რაიკომი

წინადადებას აძლევს ამხ. ბურიკინს ალექსის, ლომიძე თერაპონტს და პეტრუხოვ იასონს გამოცხადდნენ რაიკომის საღრიცხვო-სტატისტ. განყოფილებაში ერთიანი პარტიული ბილეთის მისაღებად. მდივანი ვართაპეტიანი.

განცხადებები

თამბაქოს ტრესტის პრეისკურანტი

№ 21.

1923 წ. 12 სექტემბერიდან ჩერვონცებში.

პაპიროსები კოლოფებში

ინგლისური 3-ე ფაბრიკის	10
ინგლისური № 2 3-ე ფაბრიკის	
„სოვეტსკიე" № 27 1-ელ ფაბრიკის	9
„სოლოდნიე" № 34 1-ელ ფაბრიკის	
„სოვეტ." პროლეტარი 1-ელ ფაბრიკის	
„ხან-კეფი" № 3 5-ე ფაბრიკის	
„ეგიპეტსკიე" 2 ფაბრიკის	
„დელიკატესი" 3-ე ფაბრიკის	7
„სოვეტსკიე" 3 ე და 4 ე ფაბრიკის	
„პრიმა" 2-ე ფაბრიკის	
№ 105 4 ე ფაბრიკის	

პაპიროსები ქაღალდის შესახვევში:

„ეგიპეტსკიე" 2-ე ფაბრიკის	6 მ. 60 კ.
„დელიკატესი" 3-ე ფაბრიკის	
„ბუკეტი" № 44 1-ელ ფაბრიკის	
„ექსტრა" № 59 1-ელ ფაბრიკ-ს	4 მ. 70 კ.
„დარიალი" № 5 4-ე ფაბრიკის	
„როსკოში" № 12 5-ე ფაბრიკის	
„მარსი" 2 ე ფაბრიკის	4 მ.
„ზვეზდა" 2 ე ფაბრიკის	
„ზარია" № 22 5 ე ფაბრიკის	
№ 105 3 ხარისხ 3-ე ფაბრიკის	
„ზაკავკასკაია ფედერაცია"	4 მ. 60 კ.

თამბაქო

ხან ქეფი № 20 3-ე ფაბრიკის	3 მ.
№ 52 საფაროვის 2 ე ფაბრიკის	
ყირიმის № 16 3 ე ფაბრიკის	
„სლონი" (საშუალოზე მაღ) 4-ე ფაბრიკის	3 მ. 40 კ.
„ოტბორნი" 6 ე ფაბრიკის	
„სამსონი" მაგარი 3-ე ფაბრიკის	2 მ. 40 კ.
№ 120 2-ე ხარისხ 4 ე ფაბრიკის	2 მ. 20 კ.
№ 108 „ 4-ე ფაბრიკის	
„შირაქი" № 10 5 ე ფაბრიკის	
„ნაროდნი" № 110 2-ე ფაბრიკის	
„საგანგებო" 6-ე ფაბრიკის	
„საგანგებო" 3 ხარისხ. 1-ელ ფაბრიკის	
„საერო" 3-ე ფაბრიკის	2 მ. 30 კ.
„ნაროდნი" 4-ე ფაბრიკის	2 მ.
ნაროდნი № 7 5 ე ფაბრიკის	
სასუნი 6 ე ფაბრიკის	
შირაქი 3 ხარისხ. 1-ელ ფაბრიკის	
„25 ოქტომბერი" წუმწუმა 1.000 კოლოფი	16 მ. 70 კ.

კრ. 614 3—3.

ღრმათ დამწუხრებული მამა ალექსანდრე და ძმები [illegible], ს[illegible] ზაალი, კოწია და რძლები თამარა, ნიუკა და ლიზა წერეთლები [illegible] სიძე კოლია ჩარკვიანი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ორმო[illegible] ცი დღის წირვა უსაყვარლესი მათი

ეფროსინა ალექსანდრე[illegible] ლორთქიფანიძისა

დანიშნულია შაბათს, 22 ენკენისთვეს, შუა დღის 2 საათზე საფიჩხიის ეკლესიაში. 1—1 12 9

ღრმათ დამწუხრებული ქმარი ანდრო, მაზლები ირაკლი და დათიკო, რძლები ანეტა და ნინა ლორთქიფანიძეები შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ორმოცი დღის წირვა გარდაცვლილისა უსაყვარლესისა მათი

ფროსიკო ალექსანდრე წერეთლის ასული ლორთქიფანიძის

დანიშნულია ქალ. ქუთაისში დღეს შაბათს, 22 ამა ენკენისთვეს, 12 საათზე, საფიჩხიის ეკლესიაში. 1—1 1219.

მუშათა ფაკულტეტზე

(რუსულ და ქართულ განყოფილებაში) შესვლის მსურველთ
განცხადებების მიღება შესწყდება სექტემბრის 22-ს
სამანდატო კომისიის სხდომა მოხდება სექტემბრის 24-ს, ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დილის 9 საათზე
სამანდატო კომისიის წევრი ა. ცხსენი.

თამბტრესტი

მოითხოვეთ პაპიროსები: „ამიერ-კავკასიის ფედერაცია"

Закавказская
Федерация

[illegible]

613 3 3

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება

აცხადებს

შეჯიბრებას

ტფილისის მილიციის საჭიროებისათვის მოიჯარადრის მასალიდან

915 ქუდის და 35 „პაპახის"

დამზადებაზე. ქუდები უნდა დამზადდეს ინგლისურ მაუდიდან, ხოლო „პაპახები"—კი შავი ფერის იმ ნიმუშის მიხედვით, რომელიც იმყოფება სამმართველოს განყოფილებაში.

შეჯიბრება დანიშნულია ა. | წ. 20 სექტემბერს 12 საათზე სამმართველოს განყოფილების შენობაში (ლ. დუმბაძის ქ. № 7) ოთახი №-8.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა შემოიტანონ განცხადებები დალუქული პაკეტებით, რომელსაც უნდა დაურთონ ცნობა მათ მიერ განყოფილების სალაროში ასი მილიონი მანეთის შეტანის შესახებ.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ განყოფილების სამნეო ნაწილის უფროსს.

განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი თაქთაქიშვილი.
ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი ახვლედიანი. 620 3—3

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ.

[illegible] **ექ. სვიმონ უიფშიძის** [illegible]

[illegible] ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (601 25 20)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული**

კურსი

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში

მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0 41

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი

ძირითადი კაპიტალი 10 000 000 ოქროს მანეთი

გამგეობა მოსკოვში.

განყოფილებები: პეტროგრადში, მოსკოვში როსტოვში, კრასნოდარში, სიმფეროპოლში, ბაქოში, ასტრახანში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ტაშკენტში, ეკატერინობურგში, ნოვო-ნიკოლაევსკში, ირკუტსკში.

საგენტოები: სევასტოპოლში, ყაზანში, კურსკში, ტომსკში, პეტროვსკში.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება

განყოფილება ტფილისში

განყოფილება მოთავსებული იქნება თავისუფლების მოედანზე ლადო დუმბაძის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში.

განყოფილება აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

1. **სესხის მიცემა** კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის ვექსილის და საქონლის საბუთების გირაოს ქვეშ.
2. **საინკასო** ვექსილების და საქონლის საბუთების.
3. **გაცემა სესხისა და მიღება** შესანახათ თანხებისა მიმდინარე ანგარიშებზე და კოოპერატიულ სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, კერძო ფირმებისა და პირებისაგან.
4. **გადაგზავნა** ს. ს. რ. კ. ყველა ქალაქებში და საზღვარ-გარეთ, მოსკოვის სახალხო ბანკში ლიმიტედ (ლონდონი.)

მოქმედების რაიონი: მთელი ამიერ-კავკასია, გარდა აზერბეიჯანის ს. ს. რ-სა.

2—1